სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 იანვარი 2005 №9 (2332) ფასი 50 თეთრი

რიონი იქით, ეტკვარი აქეთ...

დინამომ და მეგრელაძემ ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს





ლაბაძის ენდი: როდიკი



სენსაციისა რა მოგახსენოთ და, მელბურნში გუშინწინ გახურებულ ავსტრალიის ღია პირველობაზე გვარიანად ცხელა, ოღონდ არა ფავორიტებისთვის. ისინი, ქალებიც და კაცებიც, დიდ კოცონს უნთებენ ისედაც დასიცხულ მეორე ეშელონის მეჩოგნეებს. რაღა შორს წავიდეთ, ამის მაგალითია ჩვენებური ირაკლი ლაბაძის შეხლა კაცთა მეორე ჩოგან ენდი როდიკთან. ლაბაძემ პირველ სეტში ბრძოლა „შეჰკადრა“ ენდიბოის, შემდეგ კი ჩოგანი დახარა და „ოზი ოუფენი“ ზედიზედ მეოთხედ დაასრულა პირველივე წრეში.

ქართველთა საქმეს ეპეა-ეკვილი გაპარჩევს

ბენეშმა გლაზგოში მარკო გაუშვა



გაფრი ჯეფილაძის ფოტო

შოთა არველაძე „რეინჯერსიდან“ მიდის, **ზურაბ ხიზანიშვილი** *კი „აიბროქსზე“ ან დარჩება, ან არა — ამ ამბავში ახალი ისაა, რომ საქმეს უმცროს-უფროსმა ბენეშებმა მოჰკიდეს ხელი.*

არველაძე ახლა ტრავმირებულია, წვივის კუნთი ისე გაუმიზეზდა, რომ ორ კვირაზე მეტია, ვერ მოირჩინა. შოთა ჯერაც ვერ ვარჯიშობს გუნდთან ერთად და ზუსტად როდის გამოჯანმრთელდება, ექიმებიც ვერ ეუბნებიან.

არველაძეს სურს, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ანუ 31 იანვრამდე გადავიდეს სხვა გუნდში. მისი აგენტი ივან ბენეში ახლა დანიაშია და იქიდან ცდილობს ახალი გუნდის გამოძებნას. „რეინჯერსს“ კი უკვე შეუგულებია შოთას შემცვლელი — გლაზგოელებმა ფრანგული „მონაკოს“ კონგოელ ფორვარდ შაბანი ნონდას დაადგეს თვალი და მასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

რაც შეეხება ხიზანიშვილს, მას მოქმედი კონტრაქტი „რეინჯერსთან“ მომდევნო სეზონის ბოლოს უმთავრდება და აიბროქსელები ხელშეკრულების გახანგრძლივებას სთავაზობენ — ბუნებრივია, თუ ზურა ახლა არ გააგრძელებს კონტრაქტს, მომდევნო სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება და „რეინჯერსიდან“ წასვლის შემთხვევაში გლაზგოელები ვერაფერს გამორჩებიან.

ხიზანიშვილის აგენტიც ივან ბენეშია, მაგრამ რადგან ის ამჟამად შოთას ტრანსფერითაა დაკავებული, გლაზგოში თავისი ვაჟი, ივან მარკო ბენეში გაგზავნა. უმცროს ბენეშს მამისგან მინდობილობა აქვს და ზურას ოფიციალური წარმომადგენელი იქნება „რეინჯერსთან“ მოლაპარაკებისას.

მარკო ბენეში გლაზგოში გუშინ ჩავიდა და დღეს უნდა შეხვდეს „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობას.

დავით თავართქილაძე

A ჯგუფი

მესამე ტური

დინამო 1:1 რუსეთი

1:0 რაზინი (55), 1:1 პავლოვი (72)

ლევადია 0:4 ყაირათი

0:1, 0:2, 0:3 დიკუ (24, 51, 67), 0:4 ბულუშევი (71)

ყაირათი	3	2	0	1	8:3	6
დინამო (მნ)	3	1	1	1	3:3	4
ლევადია	3	1	1	1	1:4	4
რუსეთი (ახ.)	3	0	2	1	2:4	2

B ჯგუფი

მესამე ტური

კაუნასი 1:0 ფახთაქორი

1:0 კშანავიჩიუსი (33)

თბილისი 2:2 დორდოი

კაუნასი	3	3	0	0	4:1	9
თბილისი	3	1	1	1	3:3	4
ფახთაქორი	3	1	0	2	1:2	3
დორდოი	3	0	1	2	3:5	1

C ჯგუფი

მეორე ტური

სკონტო 2:2 პიუნიკი

0:1 პეტროსიანი (43), 1:1 ზემლინსკისი (44), 1:2 დიავარა (45), 2:2 ბუიტკუსი (58)

პიუნიკი	2	1	1	0	7:3	4
სკონტო	2	1	1	0	6:3	4
რეგარ-თადაზი	2	0	0	2	2:9	0

D ჯგუფი

მეორე ტური

შერიფი 5:0 ნეფთჩი

1:0 და ლიმა (3), 2:0 ფლორესკუ (46), 3:0 კოჩიში (73), 4:0 ბურნაძე (80), 5:0 ტასემბედო (90)

ნეფთჩი	2	2	0	0	5:1	6
შერიფი	2	1	0	1	5:1	3
ნებიტჩი	2	0	0	2	1:9	0

„თბილისის“ მეოთხედფინალში გასვლა ზღაპარს უფრო ჰგავდა. ლუის ცაკარიასის გუნდს ყირგიზული „დორდოი“ უნდა დაემარცხებინა, ხოლო „კაუნასს“ ზუსტად 0:1 უნდა წაეგო ტაშკენტის „ფახთაქორთან“. „თბილისიც“ ალბათ სწორედ თანაჯგუფელთა მატჩის შედეგმა მოადუნა, თორემ რომ მოენდომებინა, „დორდოის“ ნაფლეთებად აქცევდა.

ლუის ცაკარიასმა ასეთი თერთმეტეული გაამწესა ყირგიზებთან: *შეყრილაძე, ოდიკაძე, მიქიაშვილი,*

რომ მოვიგო, რისთვის მოვიგო...

ხოჯავამ თანამეგობრობა გადაარჩინა



ალან ფარფალიანი ფოტო

ბოლო თბილისურ-მოსკოვური გოლები გიორგი მიქაძისა და სანდრო იაშვილისა იყო

ორბელაძე, ელიავა, კვარაცხელია, გოგუა, ქემოკლიძე, გ.ნოდ.ჭელიძე, იაშვილი, მიქაძე. უკვე მე-16 წუთისთვის ჩვენები სანდრო იაშვილისა და გიორგი მიქაძის გოლებით 2:0-ს იგებდნენ, თუმც ამავდროულად „კაუნასმა“ გაიტანა და „თბილისს“ ის იოტისოდენა შანსიც გადაეწურა. ჩვენებმა ფრთხილი თამაში არჩიეს, ტრავმებს მოერიდნენ, რითაც „დორდოიმ“ ისარგებლა და მეორე ტაიმის შუაწელში ორი გოლი გაიტანა. 2:2 — ასე უსახელოდ გავარდა „თბილისი“ უსახელო თანამეგობრობის თასიდან.

ახლა სხვა „ქართულ“ მატჩებზეც: ტურნირის მუდმივ მონაწილე ლატვიურ „სკონტოს“ სომხურ „პიუნიკთან“ უეჭველი მოგება სჭირდებოდა — ლევან კორღალიძისა და ზურაბ მენთეშაშვილის გუნდი ორჯერ აგებდა, ორჯერვე გაათანაბრა, მაგრამ გადამწყვეტი გოლი ვერაფრით შეაგდო... ვერ შეაგდო და, კაი ამიერკავკასიურ ჯახს, „პიუნიკ“ — „ნეფთჩის“ აუნთო მწვანე. ეს კავკასიური დუელი მარტო სპორტი აღარ არის და, ვინძლო, ამ მეოთხედფინალის ბედი არა სომეხმა ან აზერბაიჯანელმა, არამედ ქართველმა გადაწყვიტოს — გიორგი ადამიამ ორ ჯგუფურ მატჩში სამჯერ გაიტანა „ნეფთჩისთვის“ და ჯერჯერობით ტურნირის ბომბარდირთაგანია.

თარხნიშვილ-აფციაურ-ბურნაძე-გოგინაშვილის „შერიფმა“ არაფრისმომცემი თამაში მოუგო თურქმენულ „ნებიტჩის“, ერთი გოლი კი მურთაზ ბურნაძემ გაიტანა. გუშინდელი დღის მინი-სენსაცია კი ყაზახურმა „ყაირათმა“ გამოაცხო — A ჯგუფის ფავორიტი ესტონური „ლევადია“ 4:0 დააქცია და დღეს ლიტვურ „კაუნასს“ გაეჯიბრება მეოთხედფინალში.

ამასობაში რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი იფიცება, „თანამეგობრობის თასი“ არ მოკვდებაო. კოლოსკოვს ფიფას იმედი აქვს — იოზეფ ბლატერი შეგვპირდა, გაისად ორგანიზაციულ საკითხებში დაგეხმარებითო.

სხვათა შორის, კოლოსკოვმა „თბილისის“ ნახევარმცველი გოჩა ხოჯავაც ახსენა — „კაუნასთან“ წაგების შემდეგ ხოჯავა ტირილით შევიდა გასახდელში და როცა ფეხბურთელი ამხელა ემოციებშია, ტურნირს უაზრო როგორ უნდა დაარქვაო.

ილია ნანობაყვილი

ამისულა დინამოსთან ჯერაც მეგობრობს

კიევის „დინამომ“ „თანამეგობრობის თასზე“ სამონაწილეო განაცხადი შეადგინა და სიაში ქართველი მცველი ალექსანდრე აძისულაშვილიც მოხვდა.

ახლა დიდი მოთქმა-მოთქმაა ამისულაშვილის ტრანსფერის თაობაზე, თუმც ფაქტია, ჩვენებური ჯერაც კიევშია. ისე, გამორიცხული არაა, ამისულაშვილს „თანამეგობრობის თასის“ მერე მაინც მოუხდეს „დინამოს“ დატოვება — მისი იჯარით წაყვანა რამდენიმე უკრაინულ და რუსულ გუნდს სურს, ყველაზე რეალური კი „ეორსკლას“ წინადადებაა.

მანამდე კი ჩვენებური ვლადიმირ ონიშჩენკოს ხელმძღვანელობით „დინამო 2“-ში ვარჯიშობს და მოსკოვური ტურნირისთვის ემზადება. ამისულაშვილთან ერთად ესენგეს თასზე ის ხუთი ფეხბურთელიც ითამაშებს, რომლებიც იოჟეფ საბოს ძირითადი გუნდისთვის შეუგულებია. ესენი არიან: ლეონიდ მუსინი, არტიომ მილევსკი, ედგარას ჩესნაუსკისი, მილოშ ნინკოვიჩი და ოლეგ გერასიმიუკი.



ძახა შალამბერიძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I (შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეფოქე

შეჩრაინელებს სოფრად ჩეჩნები ეოპეზადებენ?

უკრაინა

ჩვენი ჯგუფის ლიდერი უკრაინის ნაკრები ალბანელებთან სათამაშოდ სერიოზულად ემზადება. გადაწყვეტილია, რომ ოლეგ ბლოხინის გუნდი საამმატჩოდ ანთალიაში შეიკრიბება. უკრაინელების აზრით, ექვსდღიანი თურქული შეკრება უთუოდ დადებითად იმოქმედებს ფეხბურთელებზე.

ამასობაში გაირკვა, რომ ბლოხინის ბიჭებთან ამხანაგურად გაჯიბრების სურვილი რუსული პრემიერლიგის დებიუტანტმა გროზნის „ტერეკმა“ გამოთქვა. ჩეჩნებმა სპარინგის თარიღიც თქვეს — 4 თებერვალი, რამაც უკრაინელების დიდი ინტერესი გამოიწვია. ოლეგ ბლოხინი უახლოეს დღეებში ეტყვის „ტერეკს“ პასუხს.



შეგახსენებთ, რომ ალბანეთი — უკრაინა 9 თებერვალს ტირანაში გაიმართება.

ძახა შალამბერიძე

ინგლისი

კონფერენს ლიგა
გადადებული მატჩები
ფარნბორო 1:2 ალდერშოტი
კარლაილი — სტივენეიჯი გადაიდო

ასოციაციის თასი
1/32 ფინალი. გადათამაშება
ბლეკპული 0:1 ლესტერი
გარნლი 1:0 ლივერპული

შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება
როსი — ერდრი გადაიდო
სტრანრარი — ეარი გადაიდო
დანფერმლაინი 3:1 ისტ ფაიფი

ესპანეთი

სამეფო თასი. 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
ლეიდა 1:0 გრამანეტი (0:2)
სევილია 2:1 უელვა (2:0)

საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი
ლანსი 0:3 სენტ ეტიენი

ბელგია

თასის მერვედფინალი
გენკი 2:1 ანდერლეხტი

დინამო მეტოქე და ფეხბურთელები დათვალა

ეტაპის ბოლოს სიონი იქნება

გაფრი კვირაია ფოტო

ხვალ თბილისის „დინამო“ ათდღიან შეკრებაზე კვიპროსს მიემგზავრება, ჩემპიონატისთვის მზადების მეორე ეტაპს თბილისელები ამ კუნძულზე გაივლიან, კვიპროსმოვლილები კი ესპანეთში გადაინაცვლებენ და მალიორკის ოთხთა ტურნირში ითამაშებენ. თუმც იქამდე, დღეს „დინამო“ ბოლნისის „სიონთან“ გამართავს ამხანაგურ მატჩს და, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა, მზადების პირველი ეტაპიც დამთავრდება.

პრესკონფერენცია კი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შედგა, სადაც კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ გვიმასპინძლეს...

ვუშაგ დოლენჯაშვილის ფოტო

ლაშა ნოზაძე უკვე დინამოელია

— მოსამზადებელი ეტაპის პირველ მატჩს ხვალ ბოლნისის „სიონთან“ გავმართავთ, 20 იანვარს კი კვიპროსზე მივემგზავრებით. იქ 30 იანვრამდე დავრჩებით და ოთხ ამხანაგურს ვითამაშებთ. 22-ში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ გავეჯიბრებით, 24-ში ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“, 26 იანვარს ჰოლანდიურ „სიტარდს“, შეკრების ბოლოს-წინა დღეს კი რუმინულ „არჯეშს“ შევხვდებით. შემდეგ თბილისში დავბრუნდებით, ორ დღეს დავისვენებთ და მალიორკის ტურნირზე სათამაშოდ წავალთ. ესპანეთში ჩვენი მეტოქეები სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“, მოსკოვის „სპარტაკი“ და დონეცკის „შახტარი“ იქნებიან. შინ 10 თებერვალს დავბრუნდებით, 14 თებერვალს კი ზესტაფონში საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩი გველის — თქვა დავით პეტრიაშვილმა და სიტყვა მწვრთნელს მისცა.

— ხვალ „სიონთან“ ამხანაგური მატჩით ჭზადების პირველ ეტაპს ვამთავრებთ. კვიპროსზე 28 ფეხბურთელით მივდივართ, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ ყველა გუნდში დარჩება. მზადების დაწყებიდან რამდენიმე ფეხბურთელი მსუბუქად კი დაშავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმა არავის აქვს. მენისკის ოპერაციის შემდეგ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში განაახლა შოთა კაშიამ, ხოლო ასევე ტრავმამოშუშებული შოთა გრიგალაშვილი უკვე გუნდთან ერთადაა.

...ვერ ვიტყვი, რომ 28-კაციანი შემადგენლობა „დინამოსთვის“ ოპტიმალურია. კიდევ ვაპირებთ ფეხბურთელების დამატებას, ოუმც შემადგენლობის გაფართოება თუ ვერ შევძელით, არც ეს იქნება დიდი პრობლემა.

...ზოგადად ქართული ფეხბურთის დონის ასამაღლებლად კარგია, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ რამდენიმე გუნდი გაძლიერდა. „ზესტაფონი“ უკვე სერიოზული ძალა იქნება, „ლოკომოტივმაც“ დაიმატა რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი, „თბილისმა“ შემადგენლობა შეინარჩუნა და საგრძნობლად არც „ტორპედო“ უნდა დასუსტდეს. თუმც, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს.

შემდეგ ისევ დავით პეტრიაშვილმა ილაპარაკა, ამჯერად ტრანსფერებზე:

— ჩათვალეთ, რომ გიორგი მეგრელაძე, ვინც ორი კვირის წინ „ტორპედოდან“ შემოგვიერთდა, „დინამოში“ აღარ ითამაშებს. მისი გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო. არ ვიცი, რატომ წავიდა მეგრელაძე გუნდიდან, ჩვენ მის პირობებს ვაკმაყოფილებდით. ჯერ კიდევ გაურკვეველია შოთა ბაბუნაშვილის, ლაშა ჭელიძისა და კობა შალამბერიძის „დინამოში“ დარჩენის საკითხი. ეს ფეხბურთელები კვიპროსზე ჩვენთან ერთად მოდიან და იქ კიდევ დავაკვირდებით. ლაშა ნოზაძე კი უკვე დინამოელია, მასთან კონტრაქტი უკვე გავაფორმეთ. გოჩა ჯამარაული „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს, მაგრამ კვიპროსზე ალბათ, ვერ წავიყვანთ, თუმც მასთან მოლაპარაკებას გავაგრძელებთ.

...ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ პირობებზე შესათანხმებლად ანთალიაში წავიდა ლადო ბურდული, შვეიცარიულ „ციურიხში“ იმყოფება ლადო ახალაია, ავსტრიიდან დაგვიბრუნდა გიორგი შაშიაშვილი. ბორის გონჩაროვი მოლდოვურ „შერიფში“ იყო, მაგრამ უკან დაბრუნდა... ის „დინამოს“ ფეხბურთელი კი არის, თუმც კვიპროსზე არ წამოვა — გონჩაროვი ტრანსფერზეა.

...კახა ალადაშვილისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის თაობაზე „დინამომ“ ლოზანის სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანა სარჩელი. სასამართლო უკვე დანიშნულია და ვიმედოვნებ, ამ ფეხბურთელს „დინამოში“ თამაშის უფლება მაინც ექნება. ის ხომ სანაკრებო მატჩისას დასაჯეს.

...წლეულს „დინამოს“ დაარსებიდან 80 წელი უსრულდება და ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნას ვაპირებთ. გვინდა, საზეიმო ღონისძიებების მოწყობაში ქვეყნის ხელისუფლებაც ჩაერთოს და შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროს. თუმც ჩვენ ჩვენი საიუბილეო პროგრამა გვაქვს და, შესაძლოა, 80 წლისთავი ამხანაგური მატჩითაც აღვნიშნოთ, მაგრამ მეტოქის ვინაობა ჯერ უცნობია.

კობა ინასარიძე



გაფრი კვირაია ფოტო

მეგრელაძის ქუთაისში დაბრუნების მიზეზი:

განწელილი ხელმოწერა და გამოცდა



ვუშაგ დოლენჯაშვილის ფოტო

მე-16 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე გია მეგრელაძემ ქუთაისის „ტორპედოდან“ განთავისუფლების ფურცელი აიღო და თბილისის „დინამოში“ მივიდა. გუშინდლამდე მეგრელაძე „დინამოში“ ვარჯიშობდა, გუშინ კი დიღმის ბაზიდან ფეხი დაჭკრა და ქუთაისში დაბრუნდა.

პირველი ეტაპის შემდეგ მეგრელაძე დინამოელ ლევან მელქაძესთან ერთად 12 გატანილი გოლით ლიდერობს ბომბარდირთა სიას და „დინამოსაც“ ამად სურდა ქუთაისელთა 26 წლის ფორვარდის გადაბირება, თუმც აქედან არაფერი გამოვიდა. რატომ? ამის შესახებ თავად გია მეგრელაძე...

— არ ვიცი, რატომ არ ჩავირიცხე „დინამოში“, კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

— ფაქტია, „დინამოს“ შენი აყვანა სურდა...

— ასეც იყო, მაგრამ დღეს ველაპარაკე „დინამოს“ უფროსობას და წამოსვლა ვამჯობინე.

— თბილისში რომ ჩამოხვედი და „დინამოში“ ვარჯიშობდი, კლუბი კონტრაქტს არ გთავაზობდა?

— კონტრაქტის საკითხი იწყებოდა და მაგიტომაც ვამჯობინე „დინამოდან“ წამოსვლა.

— „დინამო“ იმას გთავაზობდა, რომ სეზონის ბოლომდე გუნდში დარჩენილიყავი და კონტრაქტზე მერე გელაპარაკათ?

— რაღაც ამის მსგავსი სიტუაცია იყო და მაგას ასევე „ტორპედოში“ თამაში ვამჯობინე. ვფიქრობ, ამის წინააღმდეგი არც „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი იქნება და არც „ტორპედოს“ გულშემატკივარი.

— გამოდის, „დინამო“ გასინჯვას გთავაზობდა?

— არც უმაგისობაა და ამიტომაც ვადავწყვიტე „დინამოდან“ წასვლა, „დინამოს“ ხელმძღვანელობისა ვერაფერი გავიგე.

დავით თავართქილაძე

ქაოსიონი

ბოლნისში ახალი პრეზიდენტი და ახალი სიო მიდის

ბოლნისის „სიონმა“ ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადება 5 იანვარს დაიწყო. გუნდში დღემდე ისეთი არეულ-დარეული სიტუაციაა, კაციშვილს ვერ გაურკვევია, ვის რა ფუნქცია აკისრია და ასეთი დომხალის გადამკიდე „სიონს“ რომ მეორე ეტაპზე სახეირო არაფერი ელის, ძნელი მისახვედრი როდია.



ბადრი ჯიბლაძის ფოტო

შოთა რეხვიაშვილი

და აი, ახალი ამბავიც: გუშინ კლუბის პრეზიდენტი შოთა რეხვიაშვილი თანამდებობიდან გადადგა. „მითხრეს, გადადექიო და სხვა რაღა დამრჩენოდა. „სიონთან“ უკვე აღარაფერი მაკავშირებს, ხოლო ჩემ ნაცვლად ვინ დაინიშნება, ამას კლუბის მეკატრონეთა კრება გადაწყვეტს“ — გვითხრა შოთა რეხვიაშვილმა.

ჩვენი ინფორმაციით, კრება ზეგ გაიმართება და პრეზიდენტის გარდა, ალბათ, კლუბის სხვა ხელმძღვანელებშიც მოხდება გადანაცვლება. გარდა ამისა, ნაწილობრივ მაინც გაირკვევა წამსვლელ-დამრჩენ ფეხბურთელთა ვინაობა.

მოკლედ, „სიონში“ ახალი სიო დაუბერავს, თუმც მოღონიერდება თუ არა გუნდი, ჯერ უცნობია — ლაპარაკი ხომ ხშირად ლაპარაკადვე რჩება...

გაურკვევლობაშია „სიონის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფშიძეც, დავრჩები თუ არა გუნდის თავკაცად, ესეც არ ვიცი. „ამჟამად ბოლნისში ვვარჯიშობთ. „სიონიდან“ ჯერ არავინ წასულა. ის კი არა, იმდენი ახალი ფეხბურთელი ისინჯება, თვლას ძლივს ავუდივართ. ისინი გამოუცდელი ბიჭები არიან და მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. ვნახოთ, ორ-სამ დღეში ყველაფერი უნდა გაირკვეს: გუნდის კონტინგენტიც და მთავარი მწვრთნელიც“ — გვითხრა ყიფშიძემ.

ილია ნანოგაშვილი

ლოკომოტივი აზერბაიჯანიდან თურქეთამდე გაიწელება

თბილისის „ლოკომოტივი“ გუშინ დაბრუნდა მეზობელი ქვეყნიდან — აზერბაიჯანში იქაურ „თურანს“ ამხანაგურად გაეჯიბრა და 0:2 დამარცხდა.

„ლოკომოტივს“ თბილისში შეუერთდება ქუთაისის „ტორპედოდან“ წამოსული ახალწვეული, მეკარე ზვიად სტურუა.

ლოკომოტიველები თბილისში 23 იანვრამდე დარჩებიან, მერე კი შეკრებას ტრაპიზონში გაიელიან, სადაც გუნდს, სავარუდოდ, ბრაზილიელი ფეხბურთელებიც შეემატებიან.

ჯაკობიას უგოლობა დაეკვება

ლაშა ჯაკობიას ხარკოვული „მეტალისტი“ ტესტ-მატჩებში ძალიან ჭაკობს. ლაშას გუნდმა ზედიზედ ორი მატჩი გამართა და ერთი გოლიც ვერ გაიტანა: „მეტალისტმა“ ჯერ რუსულ „ორიოლთან“ 0:1 წააგო, გუშინ კი უკრაინის მეორელიგელს, თანაქალაქელ „ჰელიოსს“ 0:0 ეთამაშა.

სწორედ ამ მატჩში შედგა „მეტალისტის“ ახალი თავკაცის ალექსანდრ ზავაროვის სამწვრთნელო დებიუტი. უგოლო ფრის მიუხედავად, ჯაკობია საუკეთესო იყო მინდორზე და გუნდის ყველა შეტევაში მონაწილეობდა.

ქართველ ფორვარდს მსაჯებმა გოლიც არ ჩაუთვალეს, ხოლო ბოლო წუთებზე მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი თანაგუნდელმა გააცუდა.

მართალია, ჯაკობიას ძირითად შემადგენლობაში მოცილე ჯერ არ ჰყავს, თუმც ზავაროვი რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებას ლამობს და, მათ შორის ერთი აუცილებლად თავდამსხმელი უნდა იყოსო, ამბობს.

ილია ნანოგაშვილი

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

„ბათუმის“ გამთამაშებელი **ვიტალი დარჩიძე 16 წლის** იყო, პირველად რომ ითამაშა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ითამაშა და ფეხბურთის მცოდნე ხალხიც მაშინვე აალაპარაკა, „ბათუმში“ მაგარი ბიჭი იზრდებაო, ერთხელ და ორჯერ არ უთქვამთ.

დარჩიძის დებიუტიდან უკვე შვიდი წელი გავიდა — ვიტალი ახლა 23 წლისაა, თუმც, როგორც ადრე, ბათუმელზე ისევ იგივეს ამბობენ, ნიჭიერია, პერსპექტიულიაო. ის დრო კი აღარ დადგა, საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა თავისი უნარი ბოლომდე გამოავლინოს, თან „ბათუმიდანაც“ ვერსად წავიდა.

დარჩიძეს ახლაც ჰქონდა გუნდის გამოცვლის შანსი, მაგრამ „ბათუმმა“ თავისი ლიდერი „ზესტაფონს“ არ დაუთმო და არც უკრაინული ვარიანტი გამოვიდა...

დარჩიძე, დარჩები!

ბათუმი ლიდერს არც უშვებს, არც ათამაშებს

— „ზესტაფონთან“ ერთად თბილისში ვვარჯიშობდი, მათთან პირობებზე მორიგებული ვიყავი და თავს უკვე „ზესტაფონის“ ფეხბურთელად ვთვლიდი, მაგრამ მოულოდნელად უკან დაბრუნება მომიხდა. თურმე კლუბებმა სატრანსფერო თანხაზე ვერ მოილაპარაკეს — „ბათუმში“ კონტრაქტით კიდევ ორი წელი მაქვს სათამაშო.

— რამდენი მოითხოვა „ბათუმმა“?

— ზუსტად არ ვიცი, თუმც ფაქტია, რომ „ზესტაფონს“ ჩემი ფასი ეძვირა.

— ახლა რას აპირებ?

— ჯერ ვმკურნალობ. თბილისში მანეჟში ვვარჯიშობდი და დავშავდი. ათი დღე დავისვენებ, მერე კი „ბათუმს“ შევუერთდები და მეორე ეტაპისთვის მოვემზადები.

— სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტი აღარ გაქვს?

— ამ სეზონსაც, ალბათ, „ბათუმში“ ჩავამთავრებ, მერე კი ვნახოთ. ისე, იყო შანსი, კარიერა უკრაინაში ან თურქეთში გამეგრძელებინა, მაგრამ ეს საქმე რატომღაც აღარ გამოვიდა.

— უკვე შვიდი წელია, „ბათუმში“ თამაშობ. აქამდე არ გსურდა გუნდის დატოვება თუ ვერ მოახერხე?

— უკეთეს გუნდში გადასვლა როგორ არ მსურდა, მაგრამ... ხან კონტრაქტი გამიგრძელა „ბათუმმა“, ხან ტრავმირებული ვიყავი, თან არც გამიმართლა.

— „ბათუმის“ დატოვება თუ გსურდა, კონტრაქტს რატომღა აგრძელებდი?

— რა ვიცი, ვერ გეტყვი, მშობლიური გუნდიაო და...

— კონტრაქტის გაგრძელება არ გეპიტნავებოდა?

— შეიძლება ასეც ითქვას.

— ალბათ შენც გსმენია, ამბობენ, დარჩიძე რეჟიმს არღვევსო...

— ვერ დაგეთანხმები. დარჩიძე პროფესიონალი ფეხბურთელია.

— არ ფიქრობ, რომ უკეთ თამაში შეგიძლია?

— როგორ არ ვფიქრობ, მაგრამ ჩემი ბრალი ბევრიც არაფერია. საქართველოში არ არის ის დონე, ფეხბურთელი ყოველდღიურად იზრდებოდე. თუ რამ მაკლია და როგორც ფეხბურთელი ველარ ვიზრდები, ეს პირველ ყოვლისა შესაბამისი პირობების არქონის გამოა. ეგაა, ამ შვიდ სეზონში გარკვეული გამოცდილება შევიძინე.

— როგორც ფეხბურთელს, რა ნაკლი გაქვს?

— ათლეტურად ვერ ვარ სათანადოდ მომზადებული. გამძლეობას არ ვუჩივი, უფრო ჯანი მაკლია, რაც, ისევ და ისევ, მომზადებისთვის ცუდი პირობების ბრალი მგონია.

— რით გამოირჩევი?

— ალბათ ტექნიკით, ბურთთან პრობლემა არ მაქვს და ვფიქრობ, მოედანსაც კარგად ვხედავ.

— 16 წლიდან უმაღლეს ლიგაში რომ თამაშობ, ნაკრებზე არ გიფიქრია?

— 16-წლამდელთა ნაკრებში ვთამაშობდი კიდეც, მერე ახალგაზრდულის კანდიდატიც ვიყავი და, მგონი, თამაშსაც ვიმსახურებდი, მაგრამ, რაც ხდებოდა ქართულ ფეხბურთში, ალბათ, კარგად იცით... უსამართლოდ დავიჩაგრე.

— მოკლედ, როდისთვის ველოდოთ დარჩიძისგან მაღალი დონის ფეხბურთს?

— ახლა უკვე საამისოდ ყველაფერს გაათმაგებული მონდომებით გავაკეთებ და ვნახოთ, რა გამომივა.

ძოგა ინასარიძე

სირაძეს კოჭი დაუარტახეს

ტრირული „აინტრახტის“ 23 წლის შემტევ დავით სირაძეს საშუასეზონო შეკრებაზე რეციდივული ტრავმა დაემართა — მარჯვენა კოჭი ასტკივდა და ექიმების თქმით, ვინძლო საოპერაციოც გამხდარიყო. გუშინ კი სირაძეს საბოლოო დიაგნოზი დაუსვეს — კოჭის ანთება, რომელიც უოპერაციოდ უნდა განიკურნოს.

ჩვენებურს კოჭი სპეციალურ არტახებში ჩაუსვეს, რაც ორი დღე არ უნდა მოიხსნას და ანტიბიოტიკებიც დაუნიშნეს.

მოკლედ, მეორე ბუნდესლიგის მეორე ეტაპის პირველ ტურში „ობერჰაუზენთან“ ტრირელი ქართველი ალბათ ვერ ითამაშებს.

სირაძისთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ 9 თებერვლამდე სრულად გამოჯანმრთელება მოასწროს — ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის ექსპერიმენტული შემადგენლობის გამოძახებას აპირებს და სირაძეც თავის შანსს ელის.



დავით თავართქილაძე

ტურინის „იუვენტუსს“ ბოლო შვიდ შეხვედრაში შვიდი გოლის გაშვებამ როგორც ჩანს, შუბლი შეუჭმუხნა და ამის შედეგია კლუბის დიდი დირექტორი, ლუჩანო მოჯი მადრიდული „ატლეტიკოდან“ ცენტრალური მცველის, 23 წლის პაბლო იბანიესის გადასაბირებლად რომ იღწვის



ლუჩანო მოჯის „იუვენტუსში“ ფაბრიციო მიკოლი არ დაბრუნდება

აბა, კარგი მცველები იაფად

ბებერმა ქალბატონმა ლუჩანო მოჯი ბაზარში გაუშვა

მეორე მხრივ ფაქტია, რომ ტურინელებს მსოფლიო კლასის მცველებით შეუძლიათ თავი მოიწონონ. ჩამოვთვალოთ: ფაბიო კანავარო, ლილიან ტურამი, ჩირო ფერარა, პაოლო მონტერო... სხვა საქმეა, რომ ეს ფეხბურთელები უკვე გვარიანად ასაკოვანნი ბრძანდებიან. კანავარო და ტურამი 30-ს გადასცდნენ, ხოლო ფერარა და მონტერო არც მეტი, არც ნაკლები, კარიერის ბოლო დღეებს ითვლიან.

რაც შეეხება იბანიესს, მას „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და მისი სატრანსფერო ფასიც სავარაუდოდ, 14-15 მილიონი დოლარი ღირს. რამდენადაც ცნობილია „ბებერი ქალბატონი“ პაბლოს წლიურ ხელფასად 2,5 მილიონ დოლარს სთავაზობს.

იმასაც გეტყვით, სანამ იბანიესის თემა წამოიწეოდა, ზემოხსენებული მოჯი „ბარსელონადან“ კარლეს პუიოლის გადასაყვანად მეცადინეობდა, მაგრამ კატალონიელებმა ამ ტრანსფერს სათავეშივე მოუსპეს პერსპექტივა.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ „ბებერ ქალბატონს“ ბოლო ხანს ისედაც წაუვიდა თუ მიუდიან მცველები. კერძოდ, მარკ იულიანო, „მალიორკაში“ გადაბარგდა, ხოლო რაც შეეხება ნიკოლა ლეგროტალიეს, იგი გუშინ „ბოლონიაში“ გადავიდა. ამას დაამატეთ ის გარემოებაც, რომ ტურინელთა გუნდში არიან მოთამაშეები, რომლებიც ფაქტობრივად ვერ ისვენებენ — მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა და კანავარომ აქამდე ყველა შეხვედრაში ითამაშეს, ხოლო ჯანლუკა ძამბროტამ და ტურამმა მხოლოდ თითო გამოტოვეს, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ „იუვეს“ ფეხბურთელების დამატება ნამდვილად არ აწყენს.

სამაგიეროდ, დანამდვილებით ის გახლავთ ცნობილი, რომ ასეთთა შორის არ იქნება ფაბრიციო მიკოლი, რომელიც ამწუთას სწორედ ტურინელთა საკუთრებაა, მაგრამ „ფიორენტინაშია“ გაქირავებული.

„მე ფლორენციაში მსურს დარჩენა. ფლორენცია ჩემთვის ზედგამოჭრილი ადგილია, ქალაქი ხომ მშვენიერია და ქომაგებიც კეთილმოსურნენი და ფეხბურთის მგზნებარედ მოყვარულები არიან. გარდა ამისა, საკუთრივ გუნდი განვითარების გზაზეა, ხოლო მეპატრონეებს აშკარად გამოხატული ამბიცია აქვთ. ერთი სიტყვით, აქ, „ფიორენტინაში“ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ფეხბურთელს დარჩენა უნდოდეს“ — განაცხადა ფორვარდმა, რომელიც აგვისტოს ბოლოს, სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს მოიშორა „იუვენტუსმა“ თავიდან. ეს კი, შეგახსენებთ, „აიაქსიდან“ ზლატან იბრაჰიმოვიჩის ელვისებურმა შეძენამ განაპირობა.

პაპუნა კედია

ისევ სიცარიელეში

„რომა“ კოპა იტალიას შემდეგ საშინაო თამაშს უმყურებლო სტადიონზე გამართავს, ამის მიზეზი კი „სტადიო ოლიმპიკოს“ დისკვალიფიკაცია გახლავთ — „სიენასთან“ შეხვედრაში „ჯალორროსის“ ქომაგებმა მოედანზე იმდენი მაშხალა ჩაჰყარეს, რომ ფეხბურთელები და მსაჯები ველარაფერს ხედავდნენ, რის გამოც თამაში ერთი საათით შეწყდა.

დისკვალიფიკაცია მეოთხედფინალურ სათასო მატჩს ეხება. კერძოდ, საუბარია „რომასა“ და „ფიორენტინას“ 26 იანვრის დაპირისპირებაზე.

ცნობისთვის, ბოლო ერთ წელიწადში ქომაგთა ცუდი ქცევის გამო „რომა“ უკვე მესამედ ისჯება, ხოლო თუ რატომ, შეგახსენებთ: „ჯალორროსი“ გასულ სეზონში იძულებული იყო რამდენიმე შეხვედრა რომს გარეთ, კერძოდ, პალერმოში ჩაეტარებინა, რისი მიზეზიც, დედაქალაქური დერბის, „რომა“ — „ლაციოს“ გახმაურებული ჩაშლა იყო. შემდეგ, სექტემბერში, ჩემპიონთა ლიგაში, „რომასა“ და კიევის „დინამოს“ მატჩში, ტრიბუნიდან ნასროლი მონეტით დაუსისხლიანეს თავი ტიფოზებმა შვედ მსაჯ ანდერს ფრისკს, რის გამოც ის თამაში ხომ ჩაიშალა და შემდეგ ორ შეხვედრაში, უეფას ბრძანებით, იტალიურმა გუნდმა უმაყურებლო „ოლიმპიაკოზე“ ირბინა. ეს შეხვედრები გახლდათ 1:1 „ლევერკუზენთან“ და 0:3 მადრიდის „რეალთან“.



პაპუნა კედია

ალბერტინი კამპ ნოუზე

რაიკარდის ფავორიტი ძველი მეგობარი ყოფილა



იტალიელი ვეტერანი დემეტრიო ალბერტინი მალე კატალონიური „ბარსელონას“ ფეხბურთელი გახდებაო, გვამცნობს ესპანური სპორტული მედია. 33 წლის ფეხბურთელი, რომელიც ახლა ბერგამოს „ატალანტაში“ თამაშობს, პრიმერადივიზიონის ლიდერთან ექვსთვიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ინფორმაციით, „ბარსასა“ და „ატალანტას“ შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და თავად მობურთალიც კატალონიურ გრანდში კარიერის გაგრძელებით ფრიად დაინტერესებული გახლავთ.

საინტერესოა ისიც, რომ ზამთრის ამ სატრანსფერო რია-რიაში, ფრანკ რაიკარდის ფავორიტი სწორედ დემეტრიო ალბერტინი ყოფილა. უზარმაზარი გამოცდილების მქონე იტალიელი ჩემს გუნდს მნიშვნელოვნად წაადგებაო, უთქვამს რაიკარდს. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ბოლოს ისიც დასძინა, ალბერტინის ასაკი სრულებით არ მაშინებს, იგი კვლავინდებურად სწრაფია, ბრძოლისუნარიანი და მოედნის ცენტრშიც პასების სწორად განაწილება ძველებურად ეხერხება, ამასთანავე, დემეტრიო ჩემპიონთა ლიგაშიც დაგვეხმარება, რაც ძალიან კარგიაო.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რაიკარდი და ალბერტინი ძველი მეგობრებიც არიან, ისინი 90-იანი წლების ზღაპრული „მილანის“ ღირსებას ერთად იცავდნენ. ორივე მონაწილეა იმ მატჩისა, 1993 წლის 26 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანი“ მარსელის „ოლიმპიკთან“ 0:1 რომ დამარცხდა

ლადო ხომერიკი

რუდი ფიოლერი ნამალზე შეჯდა



ბუნდესნაკრებისა და იტალიური „რომას“ ყოფილი მწვრთნელი რუდი ფიოლერი ლევერკუზენში დაბრუნდა და კვლავ „ბაიერის“ სპორტული დირექტორის პოსტს დაიკავებს. ამის შესახებ კლუბმა გუშინ განაცხადა და გუშინვე საგანგებო პრესკონფერენციაც გაიმართა.

გერმანული მედიის ცნობით, 44 წლის ფიოლერმა „ბაიერთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონმა მოთამაშის კარიერა 1996-ში, სწორედ ამ გუნდში დაასრულა, მერე კლუბის სტრუქტურაში გადავიდა და 1996-2000 წლებში „ფარმაცევტთა“ სპორტულ დირექტორად მუშაობდა. გასული აგვისტოს ბოლოს რუდი ფიოლერმა „რომა“ ჩაიბარა, მაგრამ ერთ თვეში იტალიიდან აიბარგა, ამ გუნდში მუშაობა შეუძლებელიაო.

ლევერკუზენის „ბაიერში“ სპორტულ დირექტორის ადგილი იურგენ კოლერს წასვლის შემდეგ იყო თავისუფალი, კოლერს სპორტული მენეჯერი, ილია ლენცეგიც მიჰყვა.

„ბედნიერი ვარ, დავბრუნდი იქ, სადაც მენდობიან“ — ფიოლერის პრესკონფერენცია ამ სიტყვებით დაიწყო და ამ პათოსითვე გაგრძელდა.

ვაჟა ხუციშვილი

ტომი და ჯერი

ომს ვერც საშუალებო პაქტი უშველის



არსენ ვენგერი



გრემ პოლი

გრძელდება მზადება დიდი მატჩისთვის: 1 თებერვალს „არსენალი" „მანჩესტერს" მასპინძლობს და ორი ბოსის ჩხუბიც გრძელდება.

პარასკევს სერ ალექს ფერგიუსონმა უკვე უწოდა „სამარცხვინო" არსენ ვენგერის ქცევას ამ გუნდების პირველი წრის მატჩისას. ამას ვენგერმა ასე უპასუხა, მაგ კაცთან „დიპლომატიურ ურთიერთობას" ვწყვეტ, აწი რაც უნდა ის ილაპარაკოს, არ ვუპასუხებო, მაგრამ არსენმა მხოლოდ ერთ დღეს გაძლო.

„ფერგიუსონს რეალობის გრძნობა აქვს დაკარგული — თქვა „მეთოფეთა" შეფმა — საერთოდ კი, ფეხბურთში რომ ვიდეოშემოწმება არსებობდეს, „მანჩესტერი" ცხრილის შუაში იქნებოდა. ახლა კი ის პატივშია მსაჯთა შორის, ეს კაცი კონფრონტაციას ეძებს, მლანძღავს და მოითხოვს, რომ ბოდიში მომეხადა. ვინღა, ენდობა კაცს, რომელიც წრეგადასული სიტყვების ომს იწყებს?".

ორთა შორის სიტყვების ომს მართლაც ფერგი იწყებს.

1 თებერვლის კი თამაშს განთქმული გრემ პოლი უმსაჯებს. „არსენალის" ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინს და „მანჩესტერის" შეფ დევიდ გილს აქამდეც მოულაპარაკიათ მშვიდობაზე, მაგრამ ახლა ფეხბურთის ასციაცია აპირებს, რომ მათ ოფიციალურად მოაწერინოს ხელი სამშვიდობო პაქტზე.

ორშაბათს კი ასოციაციამ არ მიიღო ვენგერის საჩივარი, ფერგიუსონმა „სამარცხვინო" მიწოდაო.

ირაკლი გამყრელიძე

გავაგდოთ მანჩესტერი და ჩამოვიყვანოთ ბრაზილია

დღეს ექსეტერში იმ მატჩის გადათამაშება იმართება, რომლის შედეგმაც ცოტა ხნის წინ, უფრო ზუსტად კი 8 იანვარს, სრულიად ინგლისი აახმაურა, სენსაციის ექო კი მთელ ევროპას გადასწვდა

ნახსენებ 8 იანვარს, ინგლისის ასოციაციის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავისსავე „ოლდ ტრეფორდზე" მეოთხელიგელ „ექსეტერს" ვერაფერი მოუხერხა და რა გასაკვირია, რომ ეს ამბავი სენსაციად მოინათლა. იმ 0:0-ის მნიშვნელობის უფრო ღრმად ჩასაწვდომად ვთქვათ: ინგლისური დივიზიონები ერთმანეთს რომ გადავაბათ, „ექსეტერი" 98-ე ადგილზეა. ხოლო თუ ექსეტერელებმა დღევანდელ გადათამაშებაში იმარჯვეს, 1909 წლის მერე პირველად მოხდება, რომ ნონ-ლიგის გუნდი თასის მფლობელს დაამარცხებს.

თუმც ამის მიღწევა ზესენსაციად მოჩანს. სხვა რომ არაფერი, სერ ალექს ფერგიუსონი დღეს მოედანზე საუკეთესო ფეხბურთელების გაყვანას აპირებს, 8 იანვარს კი, შეგახსენებთ, მეორე შემადგენლობა ათამაშა.

„ვფიქრობ, ფერგიუსონი მეორედ აღარ შეცდება და საუკეთესო ფეხბურთელებს დაგვიპირისპირებს — თქვა „ექსეტერის" მენეჯერმა ალექს ინგლეტორპმა — ეს გარემოება მათ უპირატესობას მისცემს, ჩვენი უპირატესობა კი შინაური ატმოსფერო იქნება".

„ექსეტერის" სასარგებლოდ ეგებ ამინდმაც იმუშაოს: „ქარსა და წვიმაში, რომელიც ჩვენს მხარეში ჩვეულებრივი ამინდია, ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება თამაშის აწყობა" — თქვა ექსეტერელთა დირექტორმა სტივ პერიმანმა, ვინც თავად არის ასოციაციის თასის ორგზის მფლობელი. 1981-82 წლებში მან ეს ჯილდო „ტოტენჰემში" თამაშისას მოიგო.

ერთი კი ცხადია, როგორც არ უნდა დასრულდეს დღევანდელი მატჩი, „ექსეტერი" უკვე გამარჯვებული და გამდიდრებულია. „იუნაიტედთან" ორი შეხვედრისთვის კლუბი 750 ათას გირვანქას მიიღებს, რაც მისი ორი წლის ბიუჯეტია. ეს ფული პირდაპირ მისწრებაა „ექსეტერისთვის", რომელიც უსახსრობით სულს ღაფავდა და ფულის საშოვნელად მისი ბოსები სრულიად ფანტასტიკური იდეებითაც გამოდიოდნენ. მაგალითად, ასეთით: ექსეტერში ბრაზილიის ნაკრები ჩამოვიყვანოთ და საჩვენებელი მატჩი გავმართოთო.

ირაკლი ნინიძე

ალარ გაუცვალოთ!

მეთოფეებს განიარაღება აუკრძალეს

„ბოლტონთან" მარცხის შემდეგ ლონდონის „არსენალი" „ჩელსის" ათი ქულით ჩამორჩა, არსენ ვენგერმა კი ფეხბურთელებს მეტოქე გუნდის მოთამაშეებთან მაისურების გაცვლა აუკრძალა. არა, „ჩელსისთან" ჩამორჩენა ამას კი არ დაბრალდა, არამედ კლუბი ფეხბურთელებისთვის მაისურების განახლებას ველარ აუდის. რატომ? მოწინააღმდეგე გუნდში ყოველთვის გამოერევა რამდენიმე ისეთი, ანრისა თუ პირესის ზედასამოსი რომ სურთ. ასე და ამგვარად, კლუბის საწყობს სეზონის განმავლობაში სულ ცოტა ორასამდე მაისურა აკლდება.

გუნდის შემოსავლის მენეჯერმა ჯიკ ეიკერსმა ამადაც დაიჩივლა: „ჩვენთვის ეს უკვე დიდი პრობლემაა. წლის განმავლობაში ფორმების განსაზღვრულ რაოდენობას გვაძლევენ, რომელიც სეზონის ბოლომდე უნდა ვიმყოფინოთ, ახლა კი რა გამოვიდა? ჩემპიონატის ნახევარი გავლია, „არსენალს" კი ფორმების მესამედი აღარ აქვს".

ვაჟა ხუციშვილი

ბრიტანულ პრესაში გავრცელებული მორიგი ჭორების თანახმად, ლონდონურ „ჩელსის" ბრაზილიელი რონალდინიოს შეძენა სურს. როგორც ამბობენ, რომან აბრამოვიჩს ამ საქმისთვის 86 მილიონი ევრო აქვს გადადებული და მალე კატალონიელებთან მოლაპარაკებასაც დაიწყებს. თუ შეთანხმება შედგა, რონალდინიო ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, ტრანსფერი განხორციელდეს. სპეციალისტების აზრით, ეს უბრალოდ „არისტოკრატთა" მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობაა ჩემპიონთა ლიგის მატჩების წინ. შეგახსენებთ, ლიგის მერვედფინალში ერთმანეთს სწორედ „ბარსელონა" და „ჩელსი" ხვდებიან.

გერმანულ „შტუტგარტის" ფორვარდ მარკო შტრელერს კიდევ ერთი ოპერაცია ესაჭიროება. შეგახსენებთ, რომ 23 წლის შვეიცარიელმა ევრო 2004-ის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ფეხი მოიტეხა. იგი უკვე მინდორსაც დაუბრუნდა, მაგრამ როგორც გაირკვა, მოტეხილობა ცუდად შეხორცდა. ექიმების თქმით, საგანგაშო არაფერია, უბრალოდ, შტრელერს დაახლოებით სამი კვირა მოუწევს უქმობა და ეგებ უეფას თასზე, „პარმასთან" შეხვედრაც გამოტოვოს.

ბენინის 20-წლამდელთა ნაკრების გოლკიპერი იოსუფ სამიო აფრიკის ახალგაზრდული ჩემპიონატის მსვლელობისას მოკლეს. გასულ შაბათს, ნიგერიის ნაკრებთან მარცხის (0:3) შემდეგ, გულშემატკივრები მისი თამაშით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ რა გახდა სამწუხარო ინციდენტის მიზეზი, ზუსტად არავინ იცის. კვირას, 17 წლის ფეხბურთელს ჯერჯერობით უცნობი პიროვნება დაესხა თავს და დაუნდობლად სცემა. სხეულის დაზიანება იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ იუსუფ სამიო ორშაბათ დილას გარდაიცვალა.

ინგლისური „ლიდსი" კვლავ ფინანსურ კრიზისშია და გამოსავალს ეძებს. გულშემატკივრებს იმედი კლუბის პრეზიდენტმა ჯერალდ კრასნერმა ჩაუსახა. როგორც გაირკვა, ეს უკანასკნელი მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ ბიზნესმენ ნორმან სტაბსთან, რომელიც მზად არის, იორკშირელებს სერიოზული ფინანსური დახმარება გაუწიოს. „სტაბსი „ლიდსის" გულშემატკივარია და უნდა, რომ კლუბი მდგომარეობიდან გამოიყვანოს. დიდი ხანია, მოლაპარაკება მიმდინარეობს და უკვე ბევრ რამეზე შევთანხმდით კიდეც" — თქვა კმაყოფილმა კრასნერმა.

რუმინელი ფორვარდის, ადრიან მუტუს შეძენა ტურინის „იუვენტუსის" გარდა „მილანსაც" სდომებია. როგორც გაირკვა, „შავ-წითლები" დისკვალიფიცირებულ თავდამსხმელს ორწლიან კონტრაქტს და სეზონში 4,5 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, თუმცა მუტუმ საბოლოოდ „ბებერი ქალბატონის" წინადადება მიიღო, რომელთანაც ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში მხოლოდ ორ მილიონს მიიღებს, ხოლო კარგი თამაშის შემთხვევაში დამატებით პრემიებსაც.

არგენტინელმა ნახევარმცველმა მატიას ალმეიდამ ფეხბურთიდან წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა. 30 წლის ფეხბურთელმა უკვე ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინ, იგი „ბრეშაში" ირიცხებოდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა ალმეიდამ, სამშობლოში დაბრუნებულიყო და კარიერა იქ გაეგრძელებინა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩთან" გააფორმა კონტრაქტი. ახლა კი საერთოდ ფეხბურთიდან წასვლა არჩია.

ესპანური „სარაგოსას" მცველ სესარ ხიმენესის დებიუტი პრიმერადივიზიონში ძალიან უიღბლო გამოდგა. გასულ უქმეებზე „რეალთან" მატჩში 27 წლის ფეხბურთელმა მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და დახლოებით 6-8 თვე ველარ ითამაშებს. იგი ლუიშ ფიგუსთან ორთაბრძოლისას დაშავდა. „სამეფო კლუბის" პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ძალიან უხეშად კი ითამაშა, მაგრამ „სარაგოსას" ხელმძღვანელობა მისი დისკვალიფიკაციის მოთხოვნას არ აპირებს.

შოტლანდიური „რეინჯერსი" ინგლისური „ბოლტონის" ვეტერან მცველ ფერნანდო იეროთი დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, სემ ალარდაისმა გამოცდილი ესპანელი ტრანსფერზე დაყენა. გლაზგოელთა თავკაცი ალექს მაკლიში კი თავის მხრივ „ნიუკასლში" გაყიდული ჟან-ალენ ბუმსონგის შემცვლელს ეძებს. სავარაუდოდ, მხარეები მალე მოლაპარაკებას დაიწყებენ. თავად 36 წლის იერო „ჩაფრებში" გადასვლაზე თანახმაა.

ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა" შვედი მცველი ალექსანდრ ოსტლუნდი გადაიბირა. როტერდამელებმა 26 წლის ფეხბურთელთან 4,5 წლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. „ჰამარბის" ყოფილი მოთამაშე შესაძლოა, უკვე მომავალ ტურშივე, არნემის „ვიტესთან" მატჩში გავიდეს მოედანზე. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ „ფეიენოორდი" სწორედ „ვიტესის" ნახევარმცველ ნიკი ჰოფსითაც გაძლიერდა. გარდა ამისა, როტერდამელები თავიანთ პოლონელ ლეგიონერ ები შმოლარეკს დორტმუნდის „ბორუსიაში" უპირებენ განათხოვრებას.

რეკლამა

სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





მაიკლ ოუენს გრემ სუნესი „ნიუკასლში“ ეპატიჟება

მიყიდეთ ოუენი!

მაიკლ ოუენს წინადადებას შესთავაზებენ, რათა მადრიდის „რეალისგან“ თავი დაიხსნას. წუხელ ოუენმა თქვა, რომ მადრიდში სკამზე ჯდომა არ არგებს, ხოლო „ნიუკასლის“ მენეჯერმა გრემ სუნესმა კვლავ განაცხადა, მაიკლს 10 მილიონად ვიქირავებო. ამგვარ თხოვნაზე „რეალმა“ ადრეც უარი უთხრა „ჯორდების“ ბოსს, ოღონდაც ახლა სუნესი კლუბის საბჭოს ეხვეწება, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი კვირა დარჩა და რაც არის, არის, ვიყიდოთ ოუენიო.

ირაკლი გამყრელიძე



ქებათა-ქება პორტუგალიელს
პრესპოს ნაქირავებში სურს

არგენტინელმა თავდამსხმელმა ერნან კრესპომ „ჩელსის“ პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ დიდად შეაქო, მაგრამ ისიც დაამატა, რომ „მილანიდან“ ლონდონში დაბრუნებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელი „შავ-წითლებს“ „ჩელსიდან“ ჰყავთ ნაქირავები.

„მაურინიუ ჩემს მიმართ ძალიან კეთილი იყო და ამიტომ „ჩელსიდან“ წასვლისთვის ბოდიშს ვუხდი. მან ისიც კი მითხრა, რომ ჩემს თამაშს ყურადღებით ჯერ კიდევ „რივერ პლეიტის“ დღეებიდან აკვირდება, მაგრამ ვინაიდან საქმე ეხებოდა „მილანს“ და არა რომელიმე უბრალო გუნდს, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. ზოგადად მარინიუ ძალიან უნარიანი, განსწავლული და მომზადებული მწვრთნელია, რომელიც ბურთით ვარჯიშს აქცევს დიდ ყურადღებას. შესაბამისად, სულაც არ გახლავართ გაოცებული მისი გუნდის მიღწევებით. ამ მწვრთნელის შესახებ მხოლოდ დადებითი სიტყვების თქმა შემიძლია“ — უთხრა კრესპომ არგენტინულ „რადიო რადიოს“.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, პორტუგალიელი მწვრთნელისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად ფორვარდი შემდგომ სეზონშიც „მილანში“, კარლო ანჩელოტისთან დარჩენაზე ოცნებობს.

„ჯერ გეტყვით, რას ფიქრობენ ლონდონურ კლუბში, მაგრამ მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ისინი ჩემს მილანელობაში დავარწმუნო“ — დააგვირგვინა ბოლოს კრესპომ.

პაპუნა კედია

ერნან კრესპო კარლო ანჩელოტისთან დარჩენაზე ოცნებობს

ბექჯის უფროსი ფერგი

დევიდ ბექჰემმა ყველასთვის მოულოდნელად თქვა: „თუკი ოღესმე მადრიდს დავტოვებ, მხოლოდ მანჩესტერში დავბრუნდები და სერ ალექსის უფროსობით ვითამაშებ. „იუნაიტედი“ ჩემი მშობლიური კლუბია. მადრიდში კი მხოლოდ წელიწადნახევარია ვარ და ჩემი ფეხბურთი იშვიათად მითამაშია. თუმც, ბედნიერი ვარ, რომ დიდი მოთამაშეების გვერდით ვირჯებიო“.

ირაკლი გამყრელიძე

გაყიდვით ყველა იყიდება

კარგ ფულად რომაელ სეზარს (მარჯვნივ) „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო შეელევა

ფინანსურად გაჭირვებული „ლაციო“ მზადაა ბრაზილიელი ვარსკვლავის, სეზარის თაობაზე ნებისმიერი სატრანსფერო წინადადება მოისმინოს და განიხილოს. ერთი სიტყვით, რომაელთა დიდი დასაყრდენი და იმედი, სეზარი იყიდება და ეს ჭორი არ არის, რადგან თვით კლუბის პრეზიდენტმა, კლაუდიო ლოტიტომ დაადასტურა.

„სეზართან დაკავშირებით სერიოზული წინადადება მჭირდება — ბრძანა „ბიანკოჩელესტეს“ შეფმა — ფაქტობრივად, ყველა იყიდება, ოღონდ ფასი უნდა იყოს სწორი“.

ახლა, იმის თაობაზე, თუ ვინ იჩენს ინტერესს რომში მოთამაშე ბრაზილიელის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ „ლაციოს“ ყოფილი მწვრთნელის, რობერტო მანჩინის ახლანდელი გუნდი „ინტერი“. მანჩოდ წოდებული მანჩინი ყოველთვის სეზარის დიდ ფანად ითვლებოდა, და ახლაც მიაჩნია, რომ თავის 4-4-2 სისტემაში ამ ფეხბურთელს დიდ როლს დააკისრებს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ლოტიტო ადრე კატეგორიულად აცხადებდა ჩემს ვარსკვლავს „ინტერში“ არ გავუშვებო, მაგრამ ახლა ტონი იცვალა.

„ფეხბურთში უწესო ქცევა და გარიგებები არავის უყვარს, მაგრამ სატრანსფერო ბაზარი ყოველთვის იდეალური არ გახლავთ. ცხადია, სეზარი ნებისმიერ ვუნდს გააძლიერებს. ის ჩვენთვისაც დიდი ძალა იყო, მაგრამ ჩემი ლოზუნგი ისაა, რომ მიუხედავად სარგებლისა, შეუცვლელი არავინაა“.

პაპუნა კედია

იტალია

სერია B. XXI ტური

პიაჩენცა 1:0 ვერონა

1:0 ბეგეტო (85)

ჯენოა	21	13	7	1	44:18	46
პერუჯა	21	11	6	4	30:18	39
ტორინო	21	11	4	6	27:19	37
ემპოლი	21	10	6	5	31:19	36
ვერონა	21	10	5	6	41:28	35
ასკოლი	21	10	5	6	28:25	35
ტრევიზო	21	9	5	7	26:25	32
პიაჩენცა	21	10	2	9	28:29	32
ალბინოლეფე	21	7	6	8	28:25	27
ტერნანა	21	7	6	8	22:24	27
ჩეზენა	21	7	6	8	26:31	27
არეცო	21	5	11	5	30:26	26
მოდენა	21	9	3	9	23:24	26
ვიჩენცა	21	8	2	11	32:36	26
კატანია	21	6	8	7	20:25	26
ტრიესტინა	21	6	6	9	24:30	24
ბარი	21	5	9	7	21:22	23
სალერნიტანა	21	6	5	10	27:36	23
პესკარა	21	5	8	8	21:30	23
კროტონე	21	5	7	9	22:28	19
კატანძარო	21	4	5	12	20:39	17
ვენეცია	21	3	6	12	15:29	15

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XV ტური

ძანთი 2:0 იონიკოსი

პანათინაიკოსი	15	10	2	3	27:8	32
ოლიმპიაკოსი	15	10	3	1	28:7	30
აეკ	15	8	6	1	22:11	30
ძანთი	15	7	5	3	22:17	26
ეგალეო	15	4	9	2	14:12	21
ხალკიდონა	15	5	5	5	16:15	20
ოფი	15	5	4	6	22:23	19
პაოკ	15	5	4	6	21:23	19
კალითეა	15	4	5	6	22:24	17
პანიონიოსი	15	5	4	5	11:12	16
არისი	15	2	9	4	12:16	15
ირაკლისი	15	4	3	8	13:19	15
იონიკოსი	15	4	3	8	10:21	15
ერგოტელისი	15	4	2	9	13:26	14
კერკერა	15	3	4	8	10:18	13
აპოლონი	15	3	4	8	12:23	13

„ოლიმპიაკოსს“ და „პანიონიოსს“ დაკლებული აქვთ 3-3 ქულა

პორტუგალია

სუპერლიგა

XVII ტური

სეტუბალი 1:2 ბელენენსეში

0:1 ჟუნინიო პეტროლინა (61), 1:1 მანუელ ჟოზე (85), 1:2 მარკუ პაულუ (90)

სპორტინგი	17	9	4	4	37:23	31
პორტუ	17	8	7	2	22:10	31
ბენფიკა	17	9	4	4	28:18	31
ბრაგა	17	8	6	3	24:13	30
ბოავიშტა	17	9	3	5	20:21	30
მარიტიმუ	17	6	8	3	19:16	26
რიუ ავე	17	5	10	2	23:19	25
სეტუბალი	17	7	3	7	22:21	24
ლეირია	17	5	8	4	18:17	23
გიმარაეში	17	6	4	7	17:18	22
ბელენენსეში	17	6	3	8	27:25	21
ნასიონალი	17	6	3	8	20:26	21
პენაფიელი	17	6	2	9	18:30	20
ჟილ ვისენტე	17	5	4	8	18:19	19
ეშტორილი	17	5	3	9	20:24	18
მორეირენსე	17	3	7	7	15:24	16
ბეირა მარი	17	3	5	9	19:34	14
აკადემიკა	17	3	4	10	14:23	13

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XXI ტური

ამიენი 0:2 გრენობლი

ნანსი	21	12	4	5	30:19	40
სედანი	21	9	6	6	20:20	33
მონპელიე	21	9	5	7	22:17	32
ტრუა	21	9	5	7	33:30	32
ლე მანი	21	9	5	7	22:19	32
გენიონი	21	7	10	4	17:14	31
შატორუ	21	6	12	3	25:20	30
ბრესტი	21	7	9	5	23:23	30
გენგამი	21	8	5	8	28:26	29
გრენობლი	21	7	8	6	28:26	29
დიჟონი	21	7	8	6	23:21	29
ლავალი	21	8	5	8	24:25	29
რეიმსი	21	7	7	7	21:27	28
ამიენი	21	6	8	7	18:20	26
ლორიანი	21	8	2	11	27:31	26
კლერმონი	21	5	9	7	25:24	24
ლე ავრი	21	6	5	10	14:19	23
ანჟე	21	4	9	8	20:24	21
კრეტეი	21	5	6	10	19:23	21
ნიორი	21	6	2	13	20:31	20

ამხანაგური მატჩი

კოლუმბია 1:1 გვატემალა

0:1 ჯ. რუისი (3), 1:1 ე. ურტადო (80)

თებერვალი დადგება, პიპო მწყობრში ჩადგება



სასიხარულო ცნობა „მილანის“ ქომაგებისთვის — ფილიპო ინძაგი ვარჯიში განაახლა და უკვე „როსონერის“ ძირითადში დაბრუნებაზე ფიქრობს.

როგორც იცით, გასულ წელს 31 წლის იტალიელმა ორი ოპერაცია გაიკეთა და ფაქტობრივად, მთელ ამ დროს მკურნალობაში ატარებდა. ახლა კი ექიმეთა თქმით, პრობლემა მოგვარებულია და პიპოს ძველი ტრავმა თავს აღარ შეახსენებს.

გამოჯანმრთელებული ინძაგი სპეციალური პროგრამით ვარჯიშობს. მალე კი თანაგუნდელებთან ერთად სრულიად დაიტვირთება. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, იგი უკვე თებერვლის პირველ რიცხვებში შეძლებს მინდორზე გასვლას.

ფილიპო ინძაგი: „ყველანაირად ვეცდები, ფორმა მალე აღვიდგინო. ჩემი ვარაუდით, თამაშს 8 თებერვლისთვის შევძლებ, მაგრამ ვეცდები, ეს უფრო ადრე მოხდეს, ოღონდ ამისთვის ასი პროცენტი უნდა ვიყო მზად. წინააღმდეგ შემთხვევაში მეც დავზარალდები და „მილანიც“.

ვეტერანს აზრი სკუდეტოს კანდიდატებზეც ჰკითხეს:

„ჩვენი მთავარი მეტოქე „იუვენტუსია“. რა თქმა უნდა, ბრძოლა ჩემპიონატის ბოლომდე იქნება, სერია A-ში თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „მილანის“ თამაშით ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ. იმედია, იღბალიც არ გვაქცევს ზურგს და სკუდეტოს ზედიზედ მეორედ მოვიგებთ“ — დააგვირგვინა ინძაგიმ.

გიორგი კაკაბაძე



ბერნარდო კორადი



დინო ფავა პასარო



მილან ბაროში

ვინ გახდება ია?

ჯორადი, ფავა, ბაროში, ჯრუზი თუ მუცი

ხავიერ პორტილიოს მადრიდის „რეალში“ დაბრუნებამ ფლორენციულ „ფიორენტინას“ თავდასხმაში შეუქმნა პრობლემები. ახლა „იებს“ ძირითად ფოვარდად მხოლოდ „იუვენტუსიდან“ ნათხოვარი ფაბრიციო მიკოლი შერჩათ და მის მეწყვილეს ეძებენ



ხულიო რიკარდო კრუზი

რობერტო მუცი

გავრცელებული ინფორმაციით, „არტემიო ფრანკიზე“ გადაბარგების უმთავრესი კანდიდატი რომის „ლაციოს“ ყოფილი ფორვარდი ბერნარდო კორადია. ეს უკანასკნელი ესპანურ „ვალენსიას“ ვერ მოერგო და იტალიაში დაბრუნებაც ძალიან სურს.

— „იების“ ხელმძღვანელობამ იცის, რომ ბერნარდო სიამოვნებით ჩავა ფლორენციაში. მას იტალიაში დაბრუნება უნდა და მზადაა, წინადადება განიხილოს, თუმც „ფიორენტინას“ მხრიდან ჯერ არანაირი ოფიციალური შემოთავაზება არ მიგვიღია — თქვა კორადის აგენტმა მორენო როჯიმ.

„ფიორენტინა“ აკვირდება „უდინეზეს“ ფორვარდ დინო ფავა პასაროსაც, რომლითაც კიდევ რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, თუმც თავად ფავას ყველაზე მეტად სწორედ „ფიოს“ მაისურას მორგება უნდა.

„ცოტა ხნის წინ „ნაპოლის“ ვუთხარი უარი. ნეაპოლელები ფინანსური თვალსაზრისით ძალიან კარგ კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ მე სერია A-ში მსურს დარჩენა. დიდი იმედი მაქვს, რომ ფლორენციელები ჩემს შეძენას გადაწყვეტენ. მათ წინადადებას სიამოვნებით მივიღებ“ — აღნიშნა ფავამ.

„მილანს „ლივერპულთან“ გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებს. თანაც კლუბში არც ისე ბევრი თავდამსხმელია. ამიტომ ძნელი სავარაუდოა, ხელმძღვანელობამ მისი გასხვისება გადაწყვიტოს, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია. და მაინც, „ფიორენტინას“ ინტერესი ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის“ — ეს კი ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირის, ჩეხი მილან ბაროშის აგენტ პაველ პაშკას სიტყვებია.

მერსისაიდელთა 23 წლის თავდამსხმელს ფლორენციელები „ლივერპულში“ ფერნანდო მორიენტესის გადასვლისთანავე დაუკავშირდნენ. „ფიორენტინას“ ბაროშის შეძენა, ანაც სეზონის ბოლომდე თხოვება უნდა. იტალიაში გადასვლა თავად ახალგაზრდა ჩეხსაც ხიბლავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლო სიტყვა ცხადია, ინგლისურ კლუბს ეკუთვნის.

და ბოლოს, იტალიური პრესის ცნობით, „ფიორენტინა“ „ინტერის“ არგენტინელ თავდამსხმელ ხულიო რიკარდო კრუზსა და რომის „ლაციოს“ ვეტერან ფორვარდ რობერტო მუცისაც უტრიალებს.

გიორგი კაკაბაძე

სათევზაოდ სოფელში

გაზამ რაიონში დაგაზა

პოლ გესქოინი ცოლყოფილ შერილისთვის ალიმენტის გადახდას უარობს

ცნობილი ლოთი, შფოთი და ფეხბურთელი პოლ გესქოინი გუშინწინ სასამართლოს მიადგა — ცოლყოფილ შერილს ალიმენტს აღარ გადავუხდიო.

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, წყვილი ერთმანეთს 1999 წელს გაეყარა. მაშინ გესქოინმა შერილს ერთი მილიონი გირვანქა გადაუხადა და ყოველთვიურად 10 ათასი გირვანქის გადახდასაც დაჰყაბულდა საერთო შვილის, რიგანის სასარგებლოდ.

მოგვიანებით, როცა პოლ გესქოინმა ფეხბურთელის კარიერა დაასრულა, 10 ათასი თითქმის განახევრდა და 5 ათას 500 გირვანქაზე დავიდა.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე ლოთმა და შფოთმა, მაგრამ მართლაც დიდებულმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მსურს, რომ ეს საქმე სამუდამოდ დასრულდეს. ბევრი ფულის გადახდის საშუალება აღარ მაქვს, ფული მე თვითონ მჭირდება, რადგან სოფელში, მდინარის პირას სახლის ყიდვა გადავწყვიტე, სადაც სათევზაოდ ვიჯდი“.

საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ საეჭვოა, რომ თევზაობის სურვილი სასამართლომ სერიოზულ არგუმენტად მიიღოს და ალბათ, არც გაითვალისწინებს.

გაგა ხუციშვილი

ნიკოლა ივნისამდე კარლოსია



ნიკოლა ლეგროტალიე კარიერას „ბოლონიაში“ გააგრძელებს

28 წლის ნიკოლა ლეგროტალიეს ტურინული კომშარი დასრულდა, ცენტრალური მცველი სეზონის მეორე ნახევარს „ბოლონიაში“ გაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ლეგროტალიე „დელე ალპიზე“ 2003 წელს მოხვდა, როდესაც „ბებერ ქალბატონს“ „კიევოდან“ შეუერთდა. იქ, ტურინში მოთამაშის საქმე ცუდად წავიდა, ტრავმა და უბედობა ერთმანეთს ენაცვლებოდა, რის შედეგადაც საბოლოოდ საქმე იქამდეც მივიდა, რომ იგი იტალიის 2004 წლის უვარგის ფეხბურთელად აღიარეს.

ახლა „ბარის“, „პისტოიეზეს“, „პრატოს“, „რევანას“, „მოდენას“ და „კიევოს“ ყოფილი მოთამაშე „ბოლონიაში“ კარლო მაკონეს ხელქვეითაა გაქირავებული და ივნისამდე ასე იქნება.

პაპუნა კედია

ქაცვიანი ორკესტრის დირიჟორი

„ჩელსიში“ ჟოზე მაურინიუს გადასვლა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ ფინალამდე გადაწყდა. ანუ მანამდე, სანამ მაურინიუს „პორტუ“ ევროპის მთავარ საკლუბო ჯილდოს მოიგებდა. ეს ამბავი ასე მოხდა: რომან აბრამოვიჩი პორტუგალიელ მწვრთნელს შეხვდა და „არისტოკრატთა“ თავკაცობა შესთავაზა. ასეთ წინადადებაზე ჭკუათამყოფელი კაცი უარს, ცხადია, არ იტყოდა, თუმც მაურინიუმ არ იჩქარა, თავისი მოთხოვნები ჩამოაწიკწიკა და რომან აბრამოვიჩს გააცნო, მილიარდელი კი თურმე რამდენიმე დღე ფიქრობდა. ბოლოს დაურეკა პორტუგალიელს და უთხრა: „თანახმა ვარ, კონტრაქტი გავაფორმოთ“. აბრამოვიჩი არ შემცდარა, ჟოზე მაურინიუს ხელიქვეით „ჩელსი“ ბრწყინვალედ თამაშობს. პრემიერლიგაში „არსენალს“ ათი ქულით გაუსწრო და „არისტოკრატებს“ ჩემპიონობასაც ნაადრევად უწინასწარმეტყველებენ.

„გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტი ფაბიო ლიკა ზი „ჩელსის“ თავკაცს შეხვდა. ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მაურინიუ პრემიერლიგაზე, ჩემპიონთა ლიგაზე, მეტოქეებზე და კოლეგებზე საუბრობს

— ფეხბურთის არაერთ მცოდნეს უთქვამს, „ჩელსი“ იგებს, მაგრამ ამ გუნდის თამაშით ვერ ისიამოვნებთ. ეთანხმებით?

— უბრალოდ, არ მესმის ამ ხალხის. კი, ბატონო, მაშინ „ჩელსიზე“ უკეთესი ევროპული გუნდი დამისახელონ. აქამდე გამართულ ოფიციალური შეხვედრებიდან გოლი მხოლოდ სამ მატჩში ვერ გავიტანეთ. დაცვაში კარგი თამაში შემტევი ფეხბურთის უარყოფა ჰგონიათ „ჩელსი“ ყოველთვის სამი ფორვარდით, ორი ფლანგელი და ერთი ცენტრალური ნახევარმცველით თამაშობს, რომლებიც ჩაშლაზე კი არა, შექმნაზე ზრუნავენ.

— ძნელია თუ არა, ბევრი ვარსკვლავისთვის საკუთარი აზრებისა და იდეების მიწოდება?

— ხალხს ვარსკვლავებზე არასწორი წარმოდგენა შეუქმნეს. რატომღაც ჰგონიათ, რომ დიდ ფეხბურთელებს დისციპლინა ფეხებზე ჰკიდიათ და მწვრთნელს ყურს არ უგდებენ. ტერი და ლამპარდი, ისევე როგორც ემერსონი და მალდინი იტალიაში, არა მხოლოდ ვარსკვლავები, არმედ გუნდში მწვრთნელის იდეების გამტარებლებიც არიან. მომწონს, რომ ჩემი „ჩელსი“ ორკესტრია, რომელშიც სოლისტობა ბევრს შეუძლია, იმავდროულად კი გუნდისთვის ირჯებიან. „ჩელსის“ შესაძლებლობები გაცილებით დიდია, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო: ვერ ვიტყვი, რომ სოლისტებისგან ორკესტრის შექმნა და დირიჟორობა იოლია, მაგრამ ჯერჯერობით გამომდის.

— მაგალითად, მადრიდის „რეალში“ იგივე ვერ შეძლეს...

— „რეალთან“ „ჩელსის“ შედარება ნაადრევია. მადრიდელებს მოგებული აქვთ ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლება საკლუბო დონეზე. ჩვენ სულ სხვა მოტივაცია გვაქვს, რადგან ჯილდოები გვწყურია. ფსიქოლოგიურად და ტაქტიკურად ისე ვემზადებით, რომ ეს მოტივაცია კიდევ რაღაცით გავაღვივოთ. ვფიქრობ, თანამედროვე ფეხბურთში მაინც მწვრთნელია მთავარი, თუმც ზოგი საპირისპიროს ამტკიცებს.

— ბევრს მიაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანი“ და „ჩელსი“ შეხვდებიან. ანჩელოტის გუნდში „ჩელსიზე“ არანაკლები ვარსკვლავები თამაშობენ. როგორ ფიქრობთ, რაოდენ დიდია „მილანის“ წარმატებაში კარლო ანჩელოტის წვლილი?

— ის ძალიან ძლიერი მწვრთნელია და დიდი არჩევანიც აქვს, თან ყველა ფეხბურთელთან საერთო ენის გამონახვა შეუძლია. გასულ ზაფხულს ამერიკაში შეკრებაზე ვიყავით, „მილანიც“ იქ ვარჯიშობდა. ერთ-ერთს დავესწარი და გაოცებული დავრჩი. კოსტაკურტას და მალდინის დონის მოთამაშეები თამაშმოწყურებული ბავშვებივით იქცეოდნენ. ისინი მწვრთნელის მითითებას ზედმიწევნით ასრულებდნენ.

— რამდენად მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორი მწვრთნელსა და კლუბის პატრონს შორის?

— ნდობის გარეშე გუნდის თავკაცი ხეირიანად ვერ იმუშავებს, თუმც ისიცაა, რომ პერიოდულად პატრონისგან შენიშვნებსაც მიიღებს. ეს განსაკუთრებით იტალიაში შეიმჩნევა. სილვიო ბერლუსკონის საჯაროდ არაერთხელ გამოუთქვამს აზრი „მილანის“ თამაშზე და ამის შესახებ კარლო ანჩელოტის მასმედიისგან შეუტყვია. მწვრთნელისა და პატრონის აზრი ერთ კონკრეტულ მატჩზე ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მწვრთნელები ამას უნდა შეეგუვნონ, რადგან მათი სამუშაოს ნაწილია. მაგალითად, მე ასე მოვიქეცი — რომან აბრამოვიჩმა რომ „ჩელსის“ თავკაცობა შემომთავაზა, ფურცლების მთელი დასტა წარეუდგინე იმის თაობაზე, თუ როგორი გუნდის აწყობას ვაპირებდი და რომელი ფეხბურთელები მჭირდებოდა. აბრამოვიჩმა რამდენიმე დღე იფიქრა, მერე დამირეკა და მითხრა: „თანახმა ვარ, კონტრაქტი გავაფორმოთ“. იმ დღიდან ის ჩემი უფროსია და ალბათ შეამჩნევდით, რომ „ჩელსის“ თამაშზე აზრი საჯარმოდ არასდროს გამოუთქვამს. სეზონის ბოლოს დავსხდებით და შედეგებს შევაჯამებთ. ვიმედოვნებ, კმაყოფილი დარჩება.

— 2003 წლის ივლისში თქვენ განაცხადეთ, რომ იტალიელი მწვრთნელებიდან ყველაზე მეტად ფაბიო კაპელო მოგწონთ, მისი გუნდებიდან კი — „რომა“...

— მე რომ „ბარსელონაში“ ბობი რობსონის თანაშემწედ ვმუშაობდი, მაშინ კაპელო მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა. მის ხელში „მილანმა“, „რეალმა“ და „რომამ“ ჯილდოები მოიგეს. ფაბიო კაპელო თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნეა. დარწმუნებული ვარ, „იუვენტუსიც“ არ დარჩება ჯილდოს გარეშე. სადაც კაპელოა, შედეგიც იქაა. მომწონს ფეხბურთის მისებური ხედვა, დისციპლინის სიყვარული და ფეხბურთელების მოტივირების უნარი. ზოგს იგი დიქტატორ და ვარსკვლავების მოწინააღმდეგე მწვრთნელად მიაჩნია, სინამდვილეში კი პირიქითაა. „რეალში“ ერთდროულად შუკერთან, მიატოვიჩთან და რაულთან მუშაობდა, „რომაში“ ტოტი, კასანო, მონტელა და ბატისტუტა ჰყავდა, ახლა კი დელ პიერო, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი და ტრეზეგე ჰყავს.

— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „იუვენტუსი“ და „რეალი“ შეხვდნენ...

— საინტერესო დუელი იქნება: ჩინებულად აწყობილი „იუვენტუსი“ „რეალის“ ვარსკვლავთკრებულის წინააღმდეგ. „რეალს“ შეუძლია მოულოდნელად „ლოგრონიესთან“ წააგოს, მაგრამ მომდევნო მატჩში ნებისმიერ ევროგრანდს სამი გოლი გაუტანოს და მოუგოს. „იუვენტუსს“ 1:0-ის შენარჩუნება ისე კარგად ეხერხება, რომ ამ მხრივ მსოფლიოში ბადალი არ მოეძებნება.

— „მილანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წყვილზე რას იტყვით?

— მანჩესტერელებმა დაცვაში თამაში ფერდინანდის დაბრუნების შემდეგ გამოასწორეს, რაინ გიგზს კი მოედანზე ყველაფერი შეუძლია. აღარაფერს ვამბობ თავდამსხმელებზე, რუუდ ვან ნისტელროი რომ დაბრუნდება, „მილანს“ საკმაოდ გაუჭირდება, თუმც ამ გუნდსაც გააჩნია თავისი ძლიერი მხარეები.

— თქვენი ყოფილი გუნდი „პორტუ“ „ინტერს“ დაუპირისპირდება. ამ წყვილიდან მეოთხედფინალში გასვლის მეტი შანსი რომელს აქვს?

— ვფიქრობ, ეს გუნდები თანაბარძალოვანნი არიან. „ინტერს“ სერია A-ში უჭირს, თორემ ჩემპიონთა ლიგაში კარგად თამაშობს. „პორტუს“ შემადგენლობა შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ საგრძნობლად არ შეცვლილა, მაგრამ ახალი მწვრთნელის მისვლის შედეგად, ჩემეული „პორტუსგან“ განსხვავებულია. რობერტი მანჩინის შეუძლია სტუმრად პირველ მატჩში დაცვაში ჩადგეს, საპასუხო შეხვედრაში კი „სან სიროზე“ გაილაღოს.

— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ „ბარსელონა“ — „ჩელსი“ ნაადრევი ფინალია?

— ფინალი, როგორც წესი, ერთმატჩიანია, ჩვენ კი ორი თამაში გველის. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გუდუშემატკივრები ორ ლამაზ მატჩს ნახავენ. „ბარსელონას“ შეტევა ქებულია, შუახაზი კი ძალიან მოძრავი და ბურთის კარგად გამგორებელი. დეკო, ხავი, ინიესტა და რონალდინიო მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არიან. ჩვენ სწრაფი კონტრშეტევები უკეთ გვეხერხება. ასე, რომ, საინტერესო დაპირისპირება გარანტირებულია.

— მარჩელო ლიპის მიაჩნია, რომ ამ წლის ჩემპიონთა ლიგას რომელიმე სახელოვანი გუნდი მოიგებს. ეთანხმებით „სკუადრა აძურას“ თავკაცს?

— ალბათ, ასე იქნება, მაგრამ წილისყრამ რამდენიმე გრანდი ერთმანეთს ნაადრევად დააჯახა. ზოგს ავიწყდება, რომ თუნდაც „ლიონი“ ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალაა და მისი ჩამოწერა არ შეიძლება. ან კიდევ „ბაიერნი“, განა მიუნხენელები იოლად დასაჩაგრნი არიან?

— თქვენი აზრით, ვინ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას?

— „ბარსელონა“ ძლიერია, ისე როგორც არასდროს. ჩვენ მერვედფინალში ამ გუნდთან მოგვიწევს თამაში და შევეცდებით, ფინალისკენ გზა გადავუკეტოთ. იტალიურ კლუბთან შეხვედრა არ მსურდა, რადგან მათთან ... ველთვის ძნელია. ჩემ ... ნალია „ჩელსი“ — „არსენალ“ ... „ჩელსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“, თუნდაც „ჩელსი“ — „ლივერპული“. ინგლისური კლუბები ევროსარბიელზე ძალიან მოიკოჭლებენ და უკვე დროა, რომ ეს უსამართლობა დასრულდეს. იტალიელებმა შარშანწინ ხომ ითამაშეს ფინალში, რატომ არ შეიძლება ჩემპიონთა თასისთვის „ჩელსი“ — „არსენალს“ შეხვდეს?

— ჩვენთან მიაჩნიათ, რომ ინგლისური საკლუბო ფეხბურთი იტალიურთან შედარებით ტაქტიკაში მოიკოჭლებს. ასეა?

— ინგლისში ნაღდად სხვა მიდგომაა. ფეხბურთელები შეტევას ელტვიან, ემოციები სჭარბობს, იტალიაში კი — რაციონალიზმია. არადა, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო, ეროვნულ თავისებურებებს თუ გავითვალისწინებთ. მსურს, რომ ჩემმა გუნდმა ინგლისური ფეხბურთისგან საუკეთესო შეითვისოს და რაციონალურიც იყოს.

— „პორტუში“ დეკო გყავდათ, რომლის გარშემოც გუნდის თამაშს აწყობდით. „ჩელსის“ „დეკო“ ვინ არის?

— აქ დეკო არ მყავს. სამაგიეროდ, არის ფრენკ ლამპარდი, რომელსაც ყოველისშემძლე ნახევარმცველს დავარქმევდი ის შეუდარებელი მებრძოლია. 90 წუთის განმავლობაში ერთ დონეზე თამაში შეუძლია. ამასთანავე მხოლოდ დაცვა კი არა, საგოლე პასები და გოლის გატანა ეხერხება. დაცვაში შესანიშნავი დუეტია გალანი და ტერი. ლამპარდს მაკელელეს ეხმარება, რომელიც თავის პოზიციაზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და კიდევ გვყავს არიელ რობენი... მის თამაშს კომენტარი არ სჭირდება.

— არჩევანის წინაშე რომ დადგეთ, პრემიერლიგის მოგებას ისურვებდით, თუ ჩემპიონთა თასის?

— პრემიერლიგის. ჩემპიონთა ლიგა უკვე მოვიგე, თან მთავარ ევროთასზე იღბალი და გარკვეული გარემოებების თანხვედრაც აუცილებელია. ერთი წლის წინ ეს ყველაფერი „პორტუს“ მხარეს იყო. შარშანწინ — „მილანის“. ინგლისის, ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატებში კი ეს აუცილებელია, რადგან უეჭველად ძლიერები იცვლებენ.

— „ჩელსისთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

— ამჟამად სამწლიანი კონტრაქტი მაქვს, მაგრამ აბრამოვიჩი გახანგრძლივებას თუ შემომთავაზებს, უყოყმანოდ დავთანხმდები. „ჩელსიში“ მხოლოდ მწვრთნელი კი არა, მენეჯერიც ვარ და ჩემი ფუნქციები გაფართოებულია. ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი. რა იქნება „ჩელსის“ შემდეგ? ორი ვარიანტია: პორტუგალიის ნაკრები ან სერია A-ს რომელიმე სუპერკლუბი. იტალიაში მუშაობა მორიგი გამოწვევა იქნებოდა, რომელსაც სიამოვნებით მივიღებდი. ტაქტიკურად უფრო რთული და განვითარებული ჩემპიონატი მსოფლიოში არ მეგულება.

გუშინ გავრცელებული ცნობით, „ჩელსის“ პატრონმა რომან აბრამოვიჩმა ჟოზე მაურინიუს ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ძლიერი პორტუგალიელ მწვრთნელს 25 მილიონ გირვანქას ჰპირდება.

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოგით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		22 იანვარი						
15:45	1	საუთჰემპტონი-ლივერპული	4.2	3.3	1.8	1.84	1.25	1.16
18:00	2	ნორვიჩი-მიდლსბრო	3.0	3.2	2.25	1.54	1.28	1.32
18:00	3	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.3	4.4	9.0	1.0	1.13	2.95
18:00	4	ევერტონი-ჩარლტონი	1.8	3.3	4.2	1.16	1.25	1.84
18:00	5	ბირმინგემი-ფულემი	1.85	3.2	4.25	1.17	1.28	1.82
18:00	6	ჩელსი-პორტსმუთი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
18:00	7	კრისტალ პალასი-ტოტენჰემი	3.1	3.2	2.2	1.57	1.28	1.3
20:15	8	ვესტ ბრომვიჩი-სიტი	3.0	3.2	2.25	1.54	1.28	1.32
		23 იანვარი						
19:05	9	არსენალი-ნიუკასლი	1.45	3.8	6.85	1.04	1.19	2.44
		24 იანვარი						
23:00	10	ბლეკბერნი-ბოლტონი	2.2	3.2	3.1	1.3	1.28	1.57
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		22 იანვარი						
18:00	11	კარდიფი-ბარნლი	2.2	3.2	2.95	1.3	1.26	1.53
18:00	12	ლესტერი-უოლინგემი	1.7	3.2	4.5	1.11	1.23	1.87
18:00	13	რედინგი-იფსვიჩი	2.45	3.2	2.6	1.38	1.26	1.43
18:00	14	სტოკი-ლიდსი	2.25	3.2	2.85	1.32	1.25	1.5
18:00	15	ბრაიტონი-ნოტინგემი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
18:00	16	პლიმუთი-პრესტონი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	17	ქოვენთრი-ქპრ	2.1	3.2	3.0	1.26	1.23	1.54
18:00	18	სანდერლენდი-შეფილდი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
18:00	19	უიგანი-უოტფორდი	1.55	3.4	5.5	1.06	1.2	2.1
18:00	20	მილუოლი-ვულვერჰემპტონი	1.95	3.2	3.6	1.21	1.26	1.69
18:00	21	ქრიუ-როტერჰემი	1.8	3.2	4.0	1.15	1.24	1.77
		23 იანვარი						
15:30	22	ვესტ ჰემი-დერბი	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
		ინგლისი. I ლიგა						
		21 იანვარი						
22:45	23	უენსდი-პორტ ვეილი	1.5	3.3	6.5	1.03	1.21	2.18
18:00	24	ბრენტფორდი-სუინდონი	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
		22 იანვარი						
18:00	25	ბრედფორდი-ტორკი	1.7	3.3	4.5	1.12	1.23	1.9
18:00	26	ტრანმერი-უოლსოლი	1.55	3.5	5.2	1.07	1.19	2.09
18:00	27	ჩესტერფილდი-რექსემი	1.7	3.4	4.2	1.13	1.21	1.87
18:00	28	სტოკპორტი-ბარნსლი	2.85	3.2	2.25	1.5	1.25	1.32
18:00	29	ჰადერსფილდი-ბორნმუთი	2.35	3.2	2.7	1.35	1.25	1.46
18:00	30	ჰარტლპული-ბრისტოლი	2.1	3.2	3.2	1.26	1.26	1.6
18:00	31	დონკასტერი-ჰალი	2.6	3.2	2.4	1.43	1.24	1.37
18:00	32	კოლჩესტერი-ლუტონი	3.05	3.2	2.1	1.56	1.24	1.26
18:00	33	პიტერბრო-ოლდემი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49
18:00	34	ბლეკპული-დონსი	1.9	3.3	3.4	1.2	1.21	1.67
		ინგლისი. II ლიგა						
		22 იანვარი						
18:00	35	გრიმსბი-ლინკოლნი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
18:00	36	იოვილი-კემბრიჯი	1.3	4.6	7.4	1.01	1.1	2.83
18:00	37	როვერსი-ჩელტენემი	2.0	3.2	3.3	1.23	1.24	1.62
18:00	38	რაშდენი-ლეიტონი	2.55	3.2	2.4	1.41	1.23	1.37
18:00	39	უიკომბი-მაკლსფილდი	2.2	3.2	2.85	1.3	1.24	1.5
18:00	40	ბერი-ნორთჰემპტონი	2.8	3.3	2.25	1.51	1.24	1.33
18:00	41	კიდერმინსტერი-ოქსფორდი	2.55	3.2	2.45	1.41	1.24	1.38
18:00	42	ჩესტერი-როჩდეილი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
18:00	43	ნოტსი-სკანთორპი	2.85	3.2	2.2	1.5	1.24	1.3
18:00	44	დარლინგტონი-შრიუსბერი	1.6	3.5	4.8	1.09	1.2	2.02
18:00	45	მენსფილდი-საუთენდი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49
18:00	46	ბოსტონი-სუონსი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		22 იანვარი						
18:00	60	დანფერმლაინი-დანდი იუნ.	1.95	3.2	3.4	1.21	1.23	1.64
18:00	61	დანდი-ჰარტსი	2.6	3.2	2.35	1.43	1.23	1.35
18:00	62	ლივინგსტონი-ინვერნესი	2.25	3.2	2.8	1.32	1.24	1.49
18:00	63	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1.7	3.4	4.4	1.13	1.22	1.91
18:00	64	სელტიკი-მოზერუელი	1.12	6.0	12.0	1.0	1.02	4.0
		23 იანვარი						
17:00	65	აბერდინი-რეინჯერსი	7.0	3.6	1.4	2.37	1.16	1.0
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
18:00	66	სტ.მირენი-ერდრი	2.25	3.4	2.55	1.35	1.19	1.45
18:00	67	ფოლკირკი-კლაიდი	1.7	3.5	3.9	1.14	1.18	1.84
18:00	68	სტ.ჯონსტონი-პარტიკი	1.75	3.5	3.8	1.16	1.19	1.82
18:00	69	რეითი-ქუინი	2.65	3.5	2.2	1.5	1.2	1.35
18:00	70	ჰამილტონი-როსი	2.35	3.4	2.4	1.38	1.18	1.4
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		22 იანვარი						
18:00	71	ბერიკი-ალოა	3.0	3.5	1.95	1.61	1.18	1.25
18:00	72	ბრეჩინი-არბროთი	1.35	4.4	6.0	1.03	1.1	2.53
18:00	73	ეარი-ფორფარი	1.9	3.4	3.3	1.21	1.2	1.67
18:00	74	სტირლინგი-მორტონი	2.6	3.4	2.2	1.47	1.19	1.33
18:00	75	დამბარტონი-სტრანრარი	3.0	3.5	1.95	1.61	1.18	1.25
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		22 იანვარი						
18:00	76	ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი	1.3	4.6	6.8	1.01	1.09	2.74
18:00	77	კოუდენბითი-ელგინი	1.55	3.6	5.0	1.08	1.18	2.09
18:00	78	ქუინზ პარკი-მონტროუზი	2.1	3.4	2.8	1.29	1.2	1.53
18:00	79	პიტერჰედი-გრეტნა	2.5	3.4	2.3	1.44	1.19	1.37
18:00	80	ალბიონი-სტენჰაუზმური	3.2	3.5	1.9	1.67	1.19	1.23
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		21 იანვარი						
22:30	81	ბაიერნი-ჰამბურგი	1.45	4.0	6.5	1.06	1.18	2.47
		22 იანვარი						
17:30	82	მიონხენგლადბახი-არმინია	1.9	3.4	3.55	1.21	1.23	1.73
17:30	83	ვოლფსბურგი-დორტმუნდი	1.9	3.4	3.55	1.21	1.23	1.73
17:30	84	ჰანზა-ფრაიბურგი	1.85	3.3	4.0	1.18	1.26	1.8
17:30	85	ნიურნბერგი-ლაუტერნი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
17:30	86	მაინცი-შტუტგარტი	3.1	3.2	2.2	1.57	1.28	1.3
17:30	87	შალკე-ვერდერი	2.0	3.3	3.4	1.24	1.25	1.67
		23 იანვარი						
19:30	88	ბოხუმი-ჰერტა	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
19:30	89	ჰანოვერი-ლევერკუზენი	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
		იტალია. სერია A						
		19 იანვარი						
22:30	296	მესინა-ატალანტა	1.75	3.1	5.0	1.11	1.29	1.91

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 იანვარი						
20:00	101	ბოლონია-კალიარი	2.1	2.9	3.6	1.21	1.32	1.6
22:30	102	ინტერი-კიევი	1.3	4.5	8.4	1.0	1.12	2.93
		23 იანვარი						
17:00	99	ლეჩე-ატალანტა	1.7	3.2	4.85	1.11	1.25	1.92
17:00	100	იუვენტუსი-ბრეშა	1.2	5.2	10.0	1.0	1.07	3.42
17:00	103	ლივორნო-მილანი	5.4	3.5	1.6	2.12	1.23	1.09
17:00	104	სიენა-პალერმო	2.75	2.7	2.8	1.36	1.38	1.37
17:00	105	მესინა-პარმა	2.2	2.8	3.6	1.23	1.36	1.57
17:00	106	უდინეზე-რეჯინა	1.65	3.0	6.5	1.06	1.31	2.05
22:30	107	ფიორენტინა-რომა	2.7	2.9	2.65	1.39	1.33	1.38
17:00	108	ლაციო-სამპდორია	2.2	2.9	3.35	1.25	1.32	1.55
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
23:45	143	ბილბაო-ოსასუნა	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
22:00	144	ბარსელონა-რასინგი	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
		23 იანვარი						
21:00	139	მალაგა-ატლეტიკო	2.45	3.2	2.7	1.38	1.28	1.46
19:00	140	დეპორტივო-ესპანიოლი	2.05	3.2	3.35	1.24	1.27	1.63
23:00	141	რეალი-მალიორკა	1.2	5.5	10.0	1.0	1.07	3.54
19:00	142	ბეტისი-ნუმანსია	1.45	3.7	7.0	1.04	1.2	2.42
19:00	145	ალბასეტე-სევილია	2.55	3.2	2.6	1.41	1.28	1.43
19:00	146	ლევანტე-სოსიედადი	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
19:00	147	ვილიარეალი-ვალენსია	2.55	3.2	2.6	1.41	1.28	1.43
19:00	148	ხეტაფე-სარაგოსა	2.3	3.3	2.8	1.35	1.26	1.51
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
19:15	160	მეცი-მარსელი	2.7	2.8	2.65	1.37	1.33	1.36
22:00	161	ტულუზი-ნანტი	1.85	3.0	4.25	1.14	1.28	1.75
22:00	162	ბასტია-ნიცა	2.45	2.8	2.95	1.3	1.33	1.43
22:00	163	სტ.ეტიენი-პსუ	2.45	2.9	2.85	1.32	1.31	1.43
22:00	164	ისტრი-სტრასბური	2.4	2.9	2.95	1.31	1.32	1.46
22:00	165	რენი-აიაჩო	1.7	3.1	5.0	1.09	1.26	1.91
22:00	166	კაენი-ოსერი	2.85	2.8	2.55	1.41	1.34	1.33
22:00	167	სოშო-ბორდო	2.3	2.7	3.3	1.24	1.35	1.48
22:00	168	მონაკო-ლანსი	1.5	3.4	6.5	1.04	1.21	2.23
		23 იანვარი						
23:00	169	ლილი-ლიონი	2.65	2.8	2.7	1.36	1.33	1.37
		ბელგია. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
20:00	182	შარლერუა-სტანდარდი	2.55	3.3	2.45	1.43	1.24	1.4
22:00	183	ლიერსი-ვესტერლო	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
22:00	184	ბრიუსელი-ლოკერენი	2.65	3.3	2.35	1.46	1.24	1.37
22:00	185	ბევერენი-მონსი	1.55	3.6	5.5	1.08	1.2	2.17
22:00	186	სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი	5.2	3.4	1.6	2.05	1.22	1.08
22:00	187	მუსკრონი-ვენკი	2.65	3.3	2.35	1.46	1.24	1.37
22:00	188	ოსტენდე-ბეერსხოტი	2.6	3.3	2.35	1.45	1.23	1.37
		23 იანვარი						
15:00	189	გენტი-ბრიუგე	3.9	3.4	1.8	1.81	1.23	1.17
17:00	190	სერკლი-ლუვიე	2.4	3.3	2.6	1.38	1.24	1.45
		ბელგია. II დივიზიონი						
		19 იანვარი						
22:00	191	პატრო-რონსე	2.45	3.2	2.55	1.38	1.24	1.41
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		21 იანვარი						
22:00	201	ალკმაარი-ნაიმეგენი	1.3	4.5	7.7	1.0	1.11	2.84
		22 იანვარი						
21:30	202	გრააფსხაპი-როდა	3.7	3.2	1.9	1.71	1.25	1.19
21:30	203	ტილბურგი-ტვენტე	1.85	3.2	3.8	1.17	1.24	1.73
21:30	204	ჰერენვენი-დენ ბოსხი	1.3	4.5	7.7	1.0	1.11	2.84
21:30	205	პსვ-ბრედა	1.25	4.7	9.5	1.0	1.1	3.14
		23 იანვარი						
14:30	206	უტრეხტი-აიაქსი	3.2	3.3	2.05	1.62	1.24	1.26
16:30	207	დენ ჰააგი-ეინინგენი	2.25	3.3	2.75	1.33	1.23	1.5
16:30	208	ფეიენოორდი-ვიტესი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
16:30	209	როზენდალი-ვალვაიკი	2.55	3.4	2.35	1.45	1.22	1.38
		ინგლისი. თასი						
		19 იანვარი						
22:45	250	ექსეტერი-მანჩესტერი	12.0	6.5	1.1	4.21	1.0	1.0
22:45	254	ბოსტონი-პარტლპული	2.7	3.2	2.3	1.46	1.24	1.33
22:45	255	ფულემი-უოტფორდი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
23:00	256	ბლეკბერნი-კარდიფი	1.4	3.7	7.5	1.01	1.17	2.47
		შოტლანდია. თასი						
		19 იანვარი						
22:45	260	პართსი-პარტიკი	1.2	5.3	9.0	1.0	1.05	3.33
		ესპანეთი. თასი						
		19 იანვარი						
22:00	261	ხეტაფე-ოსასუნა	2.3	3.1	2.8	1.32	1.26	1.47
22:30	262	ნუმანსია-ელჩე	1.7	3.4	4.5	1.13	1.23	1.93
23:30	264	რეალი-ვალიადოლიდი	1.2	5.8	9.0	1.0	1.05	3.52
		საფრანგეთი. თასი						
		19 იანვარი						
18:00	265	ოსერი-კაენი	1.5	3.5	6.2	1.04	1.2	2.23
23:00	266	სტრასბური-კლერმონი	1.5	3.5	6.2	1.04	1.2	2.23
23:00	268	მონპელიე-მონაკო	3.8	2.9	2.0	1.64	1.31	1.18
		ბელგია. თასი						
		19 იანვარი						
22:00	269	ლუვიე-ბეევერენი	1.75	3.4	3.9	1.15	1.2	1.81
22:00	270	ლოკერენი-სტ.ტრუიდენი	1.6	3.6	4.6	1.1	1.18	2.01
22:00	271	სტანდარდი-შარლერუა	1.7	3.4	4.3	1.13	1.21	1.89
22:00	273	მონსი-ბეერსხოტი	2.35	3.4	2.5	1.38	1.21	1.44
22:30	274	ეუპენი-ლიერსი	4.2	3.5	1.7	1.9	1.21	1.14
22:00	275	მუსკრონი-ვენტი	2.4	3.3	2.5	1.38	1.22	1.42
		ჰოკეი. გერმანია						
		20 იანვარი						
21:30	359	ჰამბურგი-ჰანოვერი	1.45	4.4	4.2	1.09	1.07	2.14
		21 იანვარი						
21:30	360	კრეფელდი-ინგოლშტადი	2.25	4.2	2.15	1.46	1.09	1.42
21:30	361	მანჰაიმი-კიოლნი	2.1	4.3	2.3	1.41	1.09	1.49
21:30	362	ნიურნბერგი-ფრანკფურტი	1.85	4.4	2.55	1.3	1.07	1.61
21:30	363	აუგსბურგი-ვოლფსბურგი	1.85	4.3	2.55	1.29	1.07	1.6
21:30	364	დიუსელდორფი-კასელი	1.6	4.3	3.2	1.16	1.06	1.83
21:30	365	აისბარენი-იზერლონი	1.35	4.5	4.4	1.03	1.03	2.22



საქართველოს თასის III გათამაშება ჯგუფური ეტაპი. რუსთავი. 16-18 იანვარი

მეორე ტური 18 იანვარი

ავიამშენი 98:66 თსუ
26:12 16:14 32:19 24:21

ავიამშენი: ნიკოლაძე (12), ხოშტარია (18), აბრამიძე (2), ნინიაშვილი (29), ბოლქვაძე (17); წოწელია (6), ნიჟარაძე (7), ორმოცაძე (5), მოსეშვილი (2)
თსუ: ვეფხვაძე (6), მარხვაშვილი (11), მაისურაძე (4), ბაქრაძე (1), კოკოლიშვილი (21); ფანჩულიძე (6), ბერაია (8), ხიზანიშვილი (5), გაფრინდაშვილი (4)
მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

თუჯი 87:93 სტუ
15:21 32:19 14:31 26:22

თუჯი: ჟღენტი (14), არწივიძე (4), ლიპარტელიანი (13), მურჯიკნელი (21), დანელიანი (8); გოგსაძე (11), ჭოჭუა (7), ცეკვავა (3), ფაიქრიძე (3), ტყეშელაშვილი (3)
სტუ: დ. ბერიშვილი (14), გოგობერიშვილი (21), მარკოიშვილი (13), კეიდია (7), ჯაფარიძე (23); გაგნიძე (7), მათიაშვილი (3), მიქაძე (3), შანიძე (2)
მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

რამაზ, რას გვერჩი? თსუ-მ ევროპა სცადა

ვ. ფარაგ დოლიდაგვილის ფოტო

„ავიამშენი“ ირაკლი ხოშტარია თსუ-ელ მიხეილ ფანჩულიძეს ბორკავს

ირაკლი პერტაია **რუსთავიდან**

მაშ ასე, თასის გათამაშების პირველი ეტაპი, რომელსაც საკვალიფიკაციოს ნაცვლად სავარჯიშო დატვირთვა უფრო ჰქონდა, გუშინ რუსთავში დასრულდა. ოთხმა გუნდმა იმისთვის ჩაითამაშა ერთი წრე, რომ ჯგუფში ადგილები გაენაწილებინა და ნახევარფინალში დაწყვილებულიყო. ჰოდა, დაწყვილდნენ კიდეც: „თბილავიამშენი“ — „თუჯი“; „თსუ — „სტუ-ჯეოსელი“.

სამივე მატჩის მომგებ „ავიამშენს“ ის საჩუქარი ერგო, რომ ფინალში გასასვლელად შედარებით სუსტ რუსთაველთა გუნდთან მოუწევს ჭიდილი. ეს უფლება ლევან მოსეშვილის გუნდმა თსუ-ს ძლევით მოიპოვა, რომელიც თავის მხრივ მანამდე დაუმარცხებელი გახლდათ.

პირველი ეტაპის ლიდერთა მატჩს ინტრიგა კი ახლდა, მაგრამ ამან არ გაამართლა და თამაში ავიატორთა უპირატესობით რომ დაიწყო, ასევე დამთავრდა. თსუ, ცხადია, მოსაგებად გამოვიდა მოედანზე, მაგრამ როცა მეტოქის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, ვერ ვიტყვით, დანებდაო, მაგრამ დარჩენილი დრო „პროგრესული“ კალათბურთის თამაშში გაატარა.

„პროგრესულში“ ვგულისხმობთ დაახლოებით ისეთ თამაშს, ევროპაში რომ ბურთაობენ. არა, ქართველები ჯერ რას გამოვეკიდებით ევროპელებს, მაგრამ თუ არ სცადე და არ ისწავლე, ნამდვილ კალათბურთს გემოს ვერ გაუგებ. ჰოდა, სახელმწიფო უნივერსიტეტელებმაც ისეთი თამაში გააჩაღეს, თითქმის რომ ვერ ნახავ ქართულ მოედნებზე, თუმც სათანადო კლასი არ ეყოთ და ამიტომაც დამარცხდნენ.

...მესამე მეოთხედის შუაწელში „ავიამშენის“ უპირატესობა ოც ქულას რომ ასცდა, სტუდენტთა სათადარიგო მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა გუნდის თავკაც მამუკა ტურაშვილს უთხრა, რამე შევცვალოთ, თორემ გავნადგურდებითო. „ტურამ“ მიუგო, რა აზრი აქვს, ოც ქულას წავაგებთ თუ ორმოცს, ბოლომდე მივყვეთ არჩეული თამაშის სტილსო.

საქმე ის გახლდათ, რომ თსუ ამავდროულად პირველივე მეოთხედიდან პრესინგს თამაშობდა, ოღონდ ეს მაშინ, როცა ბურთს ჩააგდებდა. სტუდენტები მორიგ ქულებს მიითვლიდნენ თუ არა, წამიერად ყველა თავის კაცს აეკვრებოდა და მეტოქეს ბურთის თამაშში შემოტანაში ასე უშლიდნენ ხელს. ეს ტაქტიკა ხშირად არ ამართლებდა, თუმც თსუ-ელებს მისთვის არ უღალატიათ.

პრესინგი კარგი, მაგრამ თსუ ამავდროულად სწრაფადაც თამაშობდა, ბურთი ელვისებურად გადაჰქონდა მეტოქის ნახევარზე, მაგრამ აქაც საშემსრულებლო დონე აკლდა. ისიც უნდა ითქვას, რომ „ავიამშენი“ მთელი მატჩის განმავლობაში კარგად იცავდა თავს, რისი წყალობითაც მოიგო კიდეც ეს თამაში.

თსუ-ს ახლებური თამაშის სტილი მისასალმებელი კია, მაგრამ სტუდენტებს საამისოდ გამოცდილი და უკეთესი კლასის მოთამაშეები სჭირდებათ. ერთიცაა, თსუ-ს არაერთი სრულიად ახალგაზრდა მოთამაშე ჰყავს და მწვრთნელები აქედანვე თუ შეაჩვევენ გამართულ თამაშს, მომავალში გამოადგებათ.

მეორე მატჩში ექსპერიმენტებისთვისა და ახალგაზრდების გამოსაცდელად არ ეცალათ სტუ-სა და „თუჯს“. ეს გუნდები იმისთვის შეიბნენ, რომ მანამდე ორივე თამაშში დამარცხებულებს თასის პირველი ეტაპი „მშრალად“ არ გაესრულებინათ.

თანაც ამ გუნდებმა უკვე იცოდნენ „ავიამშენი“ — თსუ-ს შედეგი და ბოლო ადგილი არც ერთ გუნდს აძლევდა ხელს, შედარებით მძლავრ „ავიატორებს“ რომ არ გადაყროდა ნახევარფინალში.

მატჩი მეტად დაძაბული და ემოციური გამოდგა. ინციდენტი ამჯერადაც მოხდა (რაზეც ამავე გვერდზე ცალკე სტატიაში მოგითხრობთ) რუსთაველებს ტრადიციულად მხურვალე ქომაგობა უმაგრებდათ ზურგს და ისინიც მთელი თამაშის განმავლობაში არაფერს უთმობდნენ ტექნიკოსებს, სანამ ბოლო მომენტში ყოფილი თანაგუნდელების ხელით არ განიგმირნენ.

რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე რუსთაველები არიან და წლების განმავლობაში ქვემოქართლელთა გუნდის გამწევ ძალას წარმოადგენდნენ. ამათი ხათრით რუსთაველები „სტუ-ჯეოსელს“ გულშემატკივრობენ ხოლმე, მაგრამ გუშინ ათ გოგობერიშვილს რომ ეთამაშა ტექნიკოსთა გუნდში, მასპინძლები მაინც „თუჯს“ უქომაგებდნენ.

თუმც რუსთაველებს ერთი გოგობერიშვილიც ეყოთ, რომელსაც ძველი თანამებრძოლი ჯაფარიძე ედგა გვერდში. ამათი ქულებითა და მოწადინებით სტუ-მ ბოლო მომენტში გამოჰგლიჯა გამარჯვება ქვემოქართლელებს და სანახევარფინალო მეტოქედ „მონათესავე“ თსუ ირგუნა.

გაგლახავება!

ჟღენტმა, ხუმრობა არ მაპატიესო...

ვ. ფარაგ დოლიდაგვილის ფოტო

მურმან ქურიძე ჟღენტს საგანგებოდ დასჯას უპირებს

რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზი აბა, რისთვისაა, თუ მსაჯს არ აუშარდნენ და შფოთი არ მოაწყეს. აყალმაყალის გარეშე არც გუშინდელ დღეს ჩაუვლია, თუმც ამჯერადაც ყველაფერი ზედმეტი გართულებების გარეშე დასრულდა. „თუჯი“ — „სტუ-ჯეოსელის“ დაძაბულ მატჩში მსაჯმა დავით ბერეკაშვილმა არჩილ ჟღენტს ორი ტექნიკური გამოუწერა და თამაშიდან გააძევა. როგორც მსაჯთა ამქარი ამბობს, პირველი ტექნიკური „თუჯის“ გამთამაშებელმა არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მიიღო, ხოლო მეორე და საბედისწერო შენიშვნა ჟღენტმა უწყინარ ვითარებაში, ბერეკაშვილთან ალალი ხუმრობისთვის დაიმსახურა. თუმც ჟღენტს მკაცრ სანქციებს მოედნიდან გაგდების შემდეგ მოწყობილი შფოთისთვის უპირებენ. გვესაუბრება მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი, ამ მატჩის კომისარი მურმან ქურიძე...

— არჩილ ჟღენტის უმსგავსო საქციელის შესახებ სადისციპლინო კომისია მალე იმსჯელებს და სათანადო სასჯელსაც გამოუტანს.

— მოსალოდნელია, რომ ჟღენტს ფულადი ჯარიმაც დაეკისროს? ასეთ შემთხვევაში ის ალბათ ვეღარ ითამაშებს, რაკი მის გუნდს დაფინანსება არ. აქვს...

— ჟღენტს სავარაუდოდ ფულადი ჯარიმაც დაეკისრება და დისციპლინარულიც, რადგან მოედანზე შევარდა და მსაჯი შეურაცხყო. მოგეხსენებათ, მან ორი ტექნიკური შენიშვნის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და მოედნიდან გააძევეს, მაგრამ იმის მაგივრად, დარბაზი დაეტოვებინა, მსაჯს მიუბრუნდა და ხალხს რომ არ ეყოჩაღა, ალბათ ჩხუბსაც ატეხდა.

— მოგეხსენებათ, ინციდენტი გუშინწინაც მოხდა და ამაზე თუ იმსჯელებს სადისციპლინო კომიტეტი?

— არა, იმ ინციდენტის შესახებ არ ვიმსჯელებთ, რადგან მაშინ რუსთაველები მოედანზევე დაისაჯნენ: მწვრთნელი გაუძევეს და მათ მეტოქეს რამდენიმე საჯარიმო ტყორცნაც არგუნეს. ახლა კი სხვა შემთხვევაა: არჩილ ჟღენტი თამაშიდან უკვე გაძევებული იყო და მსაჯი მას ვეღარ დასჯიდა. ასე რომ, ის ჩვენმა კომისიამ უნდა დასაჯოს.

ცხადია, არც თავად „ბრალდებულის“ კომენტარი იქნება უინტერესო...

არჩილ ჟღენტი: ბერეკაშვილმა სულ ტყუილად გამაძევა მოედნიდან. მე მისთვის არც შემიგინებია, არც რამე ცუდი მითქვამს, მხოლოდ გავუცინე და მეგობრულად გადავხვიე ხელი.

— მსაჯის შეურაცხყოფა გედება ბრალად...

— არაფრის გამო რომ გამაგდო, მერე გადავირეოდი, აბა, რა იქნებოდა. არაფერიც არ მოხდებოდა, მსაჯს არაადეკვატური გადაწყვეტილება რომ არ მიეღო. სხვათა შორის, ბერეკაშვილის გაჰკვირვებია, თავად როლანდ ხომერიკს რისი გულისთვის გააგდო მოედნიდან ჟღენტიო.

— აბა, სულ ტყუილად გაგაძევა?

— ცუდი არაფერი მითქვამს, ხუმრობით ვუთხარი, „ბერეკ“, მომე ბურთი შემოვიტანო-მეთქი. თან მეგობრულად მხარზე ხელი დავადე. შეურაცხყოფა კი არა, სულ მხიარულად ველაპარაკებოდი, მაგრამ მან სხვანაირად გაიგო. მერე უთქვამს, ჟღენტი მაგლახავებდაო. გაგლახავება მე სხვანაირი ვიცი.

— ფულადი ჯარიმა რომ დაგაკისრონ, როგორ გადაიხდის კლუბი?

— ეს ხომ თასის გათამაშებაა და ეროვნულ ჩემპიონატზე არ გავრცელდება. თასზე კი ჰა, ჰა, კიდევ ორი მატჩი ითამაშოს „თუჯმა“, ისიც, ფინალში თუ გავა. ასე რომ, თუ ფულად ჯარიმას დამაკისრებენ, ალბათ საერთოდ არ ვითამაშებ სათასო მატჩებში.

ირაკლი პერტაია

ვ. ფარაგ დოლიდაგვილის ფოტო

არჩილ ჟღენტს თამაშიდან გაგდების შემდეგ მოედანზე შევარდნა არ ეპატია

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ 2005

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ. ᲛᲐᲒᲐᲠᲡᲐᲤᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ᲔᲜᲓᲘ ᲠᲝᲓᲘᲙᲘ (2, ᲐᲨᲨ) — *ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲐᲑᲐᲫᲔ* (საქართველო) 7:5, 6:2, 6:1; **ᲚᲘᲔᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ** (3, ავსტრალია) — **ᲐᲠᲜᲝ ᲙᲚᲔᲛᲐᲜᲘ** (საფრანგეთი) 6:3, 6:4, 6:1; **ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲝᲠᲘᲐ** (6, არგენტინა) — **ᲗᲝᲛᲐᲡ ᲑᲔᲠᲓᲘᲮᲘ** (ჩეხეთი) 6:2, 6:4, 6:0; **ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ** (7, ბრიტანეთი) — **ᲡᲘᲠᲘᲚ ᲡᲝᲚᲝᲜᲘᲔ** (საფრანგეთი) 6:1, 6:2, 4:6, 6:3; **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ** (9, არგენტინა) — **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲤᲔᲠᲔᲠᲘ** (ესპანეთი) 7:6 (7:1), 4:6, 4:6, 6:3, 6:4; **ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲐᲜᲘᲐᲡᲘ** (12, ესპანეთი) — **ᲥᲠᲘᲡ ᲒᲣᲩᲝᲜᲔ** (ავსტრალია) 6:4, 6:2, 7:6 (7:4); **ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲒᲠᲝᲨᲐᲜᲘ** (14, საფრანგეთი) — **ᲛᲘᲨᲔᲚ ᲚᲝᲠᲓᲠᲐ** (საფრანგეთი) 6:3, 6:4, 6:3; **ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲘᲣᲨᲜᲘ** (15, რუსეთი) — **ᲟᲔᲠᲝᲛ ᲔᲜᲚᲘ** (საფრანგეთი) 6:2, 6:2, 7:5; **ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲞᲐᲕᲔᲚᲘ** (17, რუმინეთი) — **ᲝᲚᲘᲕᲘᲔ ᲛᲣᲢᲘ** (საფრანგეთი) 6:4, 6:4, 6:0; **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲛᲐᲡᲣ** (18, ჩილე) — **ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲓᲘᲐᲣᲐ** (საფრანგეთი) 6:7 (7:9), 7:6 (7:2), 6:3, 6:2; **ᲠᲐᲓᲘᲙ ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲔᲙᲘ** (ჩეხეთი) — **ᲕᲘᲜᲡ ᲡᲞᲐᲓᲘᲐ** (19, ᲐᲨᲨ) 6:3, 5:7, 4:6, 7:5, 6:3; **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ** (23, ჩილე) — **ᲮᲝᲡᲔ ᲐᲙᲐᲡᲣᲡᲝ** (არგენტინა) 3:6, 3:6, 6:3, 6:3, 7:5; **ᲮᲣᲐᲜ ᲘᲒᲜᲐᲡᲘᲝ ᲩᲘᲚᲐ** (25, არგენტინა) — **ᲣᲘᲜ ᲐᲠᲗᲣᲠᲡᲘ** (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:4), 7:6 (7:1); **ᲮᲣᲐᲜ ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ** (31, ესპანეთი) — **ᲛᲘᲚ ᲕᲐᲜ ᲒᲔᲛᲔᲠᲓᲔᲜᲘ** (პოლანდია) 2:6, 6:3, 6:4, 6:4

ᲥᲐᲚᲗᲔᲑᲘ

ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲓᲔᲕᲘᲜᲞᲝᲠᲢᲘ (1, ᲐᲨᲨ) — **ᲙᲝᲜᲩᲘᲢᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲔᲡᲘ** (ესპანეთი) 6:1, 6:0; **ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ** (3, რუსეთი) — **ᲙᲕᲘᲢᲐ ᲞᲔᲨᲙᲔ** (ჩეხეთი) 6:1, 6:4; **ᲘᲚᲘᲜᲐ ᲓᲔᲛᲘᲜᲢᲘᲔᲕᲐ** (6, რუსეთი) — **ᲐᲚᲘᲝᲜᲐ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝ** (უკრაინა) 6:3, 6:3; **ᲕᲘᲜᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ** (8, ᲐᲨᲨ) — **ᲔᲚᲘᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲚᲘᲓᲣ** (საბერძნეთი) 6:1, 7:5; **ᲐᲚᲘᲨᲐ ᲛᲝᲚᲘᲙᲘ** (10, ავსტრალია) — **ᲐᲜᲐᲑᲔᲚ ᲛᲔᲓᲘᲜᲐ ᲒᲐᲠᲘᲒᲣᲔᲡᲘ** (ესპანეთი) 6:1, 6:3; **ᲞᲐᲢᲘ ᲨᲜᲘᲓᲠᲘᲠᲘ** (12, შვეიცარია) — **ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲐ ᲤᲔᲓᲝᲠᲘᲐ** (უკრაინა) 6:1, 6:1; **ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ ᲨᲐᲠᲘᲜᲘ** (13, ხორვატია) — **ᲛᲝᲜᲘᲙ ᲐᲓᲐᲛᲨᲐᲙᲘ** (ავსტრალია) 6:2, 6:3; **ᲨᲠᲐᲜᲒᲘᲡᲙᲐ ᲡᲙᲘᲐᲕᲝᲜᲘ** (14, იტალია) — **ᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲐᲠᲠᲔᲠᲝ** (ესპანეთი) 6:37 6:2; **ᲔᲚᲔᲜᲐ ᲚᲘᲮᲝᲕᲪᲔᲕᲐ** (18, რუსეთი) — **ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲛᲐᲛᲘᲩᲘ** (ხორვატია) 6:3, 6:3; **ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ᲓᲘᲨᲘ** (19, საფრანგეთი) — **ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘ ᲒᲐᲚᲘᲐᲠᲓᲘ** (შვეიცარია) 6:4, 6:3; **ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ** (20, საფრანგეთი) — **ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲩᲘᲠᲕᲐᲜᲝᲕᲐ** (სლოვაკეთი) 6:3, 7:5; **ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲞᲐᲜᲢᲣᲩᲝᲕᲐ** (26, სლოვაკეთი) — **ᲐᲙᲘᲙᲝ ᲛᲝᲠᲘᲒᲣᲩᲘ** (იაპონია) 6:4, 7:5



ᲕᲘᲜᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐ

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲔᲛᲘᲜᲢᲘᲔᲕᲐ

REUTERS ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲚᲘᲨᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲠᲘᲨᲐ

თუკი მიმდინარე ავსტრალიობის პირველ დღეს ერთი-ორი მოულოდნელობა მაინც დაფიქსირდა — ოდინდელ ფინალისტ კარლოს მოიასა და 1995 წლის ჩემპიონ მარი პირსის გავარდნას ვგულისხმობთ — გუშინ ლიდერებმა ბითუმად გაივაკეს.

გავაკებულ კაცებს უყოჩა ამქრის მეორეადგილოსანმა ენდი როდიკმა, რომელსაც ირაკლი ლაბაძე ტოლსწორად მხოლოდ პირველი სეტის მეთერთმეტე გეიმამდე ეპაექრა. მერე კი ჯანმაგარმა ამერიკელმა იძალა და მომდევნო 17-დან ჩვენიანს მხოლოდ სამი გეიმიღა დაუთმო.

„პირველ სეტში თამაში მართლაც არ წამივიდა — ამბობდა ნამატჩევს როდიკი — მაგრამ მერე აზრზე მოვედი და აღარაფერი გამჭირვებია. მთავარი ისაა, რომ უკვე მეორე წრეში ვარ. რაც შეეხება იმას, რომ ჟურნალისტები ჩემზე მეტ ყურადღებას ფედერერსა და ჰიუიტს აქცევენ, ეგ სულაც არ მიკვირს — როჯერი კვლავ ფანტასტიურ ფორმაშია, ლეიტონი კი შინ თამაშობს. მაგრამ ის, ბევრს წერენ ჩემზე თუ ცოტას, არც ადრე მანერვიულებდა და ახლა ხომ საერთოდაც ჩოგანზე მკიდია.“

ლაბაძის შესახებ კი მხოლოდ ის უნდა დავძინოთ, რომ ეს მისი მეოთხე ავსტრალიობა იყო და ბრძოლის შეწყვეტა მას ამ ჯერზეც პირველ წრეში მოუხდა.

მეორე წრეში როდიკი 31 წლის გრეგ რუზეცკის შეხვდება, რომელიც თავის მხრით უგამოცდილეს შვედ იონას ბიორკმანს გასცდა. მართალია, ბრიტანელმა ბიორკმანთან შეხლისას ცხრაჯერ ორმაგად მიქარა, მაგრამ სანაცვლოდ 14 ეისი დააგრუხუნა და ამდენად, მისი და ენდიბოის განდაგანა კაი ყუმბარიანი უნდა გამოდგეს.

ხსენებულმა ლეიტონ ჰიუიტმა კი ეშხიანად და დამაჯერებლად სძლია ტურნირის 2001 წლის ფინალისტ არნო კლემანს. ეს მათი მეშვიდე დაპირისპირება იყო და კისკასმა ოზბიჭმა მეშვიდედვე იმარჯვა. მომავალ წრეში ის ამერიკელ ჯეიმს ბლეიკს უნდა შეხვდეს და მისი ამჟამინდელი დაულალავი გარჯის შემხედვარე განსხვავებულ შედეგს არც იმ მატჩში უნდა ველოდოთ.

ასევე სეტისწაუგებლად მოიგო გილერმო კორიამაც, ვისაც 19 წლის ჩეხ ტომაშ ბერდიხის მოსარჯულებლად საათი და 36 წუთი კი დასჭირდა, მაგრამ ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ შიგადაშიგ თავადვე ურევდა და 15 უნებლიე შეცდომაც დაუშვა.

ᲔᲜᲓᲘ ᲠᲝᲓᲘᲙᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲚᲐᲑᲐᲫᲔ ᲓᲐᲒᲒᲘᲛᲐᲠᲪᲮᲐ

REUTERS ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

მხოლოდ ერთხელ, მესამე სეტში ჩაყვინთა ფრანგ სირილ სოლნიესთან მოჩოგნაე 30 წლის ტიმ ჰენმანმა. დახვეწილ ბრიტანელს მელბურნში მეოთხე წრის მიღმა არასოდეს გაუღწევია და იმედოვნებს, რომ ამის გაკეთებას წლეულს მაინც შეძლებს. საამისოდ მას ილაჯიც უნდა შესწევდეს და გამოცდილებაც, რაც მან გუშინ წაგებულ სეტამდე და ამის მერე ნაკვენები სრულყოფილი, ბარაქიანი ჩოგნაობით ცხადყო.

ზეათეულელთაგან ყველაზე მაგრად დავიდ ნალბანდიანს გაუჭირდა. გაჯიქებული დავიდ ფერერი მან მხოლოდ ხუთსეტიანი ბუღრაობის შედეგად მოთელა. შედარებით იოლი, მაგრამ არც ნამეტნავად მსუბუქი შეხვედრები გადაიტანეს ნალბანდიანის თვისტომებმა — კანიასმა და ჩელამ, რომელთაც სამეორწრეო საგზურები მასპინძელ მეჩოგნეებს აართვეს.

ქალთა მხარეზე კი სრული მოწყენილობა იყო, რაკიღა განთესილთა მონაწილეობით გამართული თითქმის ყველა თამაში ორ სეტზე მეტს არ გაგრძელებულა.

ამქრის პირველოსანმა 48 წუთში დალახვრა ამ ტურნირის 1998 წლის ფინალისტი (და უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონი) კონჩიტა მარტინესი. 28 წლის ლინდსიმ ახლახანს ბრონქიტი გადაიტანა, მაგრამ ნაამმატჩევს იძახდა, თავს გადასარევად ვგრძნობ და ინფექციაც თავს მხოლოდ იმითღა მახსენებს, რომ ხამუშ-ხამუშ მეხველებინებაო.

დეევნპორტზე ათი წუთით მეტი დასჭირდა ანასტასია მისკინას, რომელსაც მაინცდამაინც არ უკაშკაშია, მაგრამ 33-ჯერ უნებლიედ შემცდარი პეშკეს მისაპაიკებლად საკმარისზე მეტიც იყო.

საათზე ოდნავ მეტი იბურჭალა უკრაინელ ალიონა ბონდარენკოსთან ელენა დემენტიევამ და არანაირად არ დასტყობია, რომ წინა კვირას სიდნეურ 50-გრადუსიან ხვატში დასიცხულიყო და რამე. აი, ვინუს უილიამსის გარჯამ კი ისედაც ჩასკეპტიკებულ მილეთში ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა, აქაოდა, ეს აქ არაფრის გამკეთებელი არ არისო. ვინუსი ნამატჩევს თავადაც ალიარებდა, ურიტმოდ ვითამაშე და განსაკუთრებით მეორე სეტში მიჯრით მიექარავდიო, მაგრამ მერე დასძენდა, ეს ძალიანაც არ მადარდებს, რადგანაც ვიცი, უკეთ როგორ უნდა ვითამაშოო და — რა იცი, იქნებ მართალიც იყოს.

ადგილობრივ მილეთს ნამეტურ აამა მეათე ნომრად განთესილი ოზგოგოს ალიშა მოლიკის შთამბეჭდავმა გამარჯვებამ. 23 წლის ალიშამ საათსა და 11 წუთში მოუგრიხა ჩოგანი ესპანელ ანაბელ მედინა გარიგესს და თვისტომთ კიდევ ერთხელ აღუძრა იმის ილუზია, რომ ავსტრალია 1978 წლის (ანუ ქრის ონილის) შემდეგ მოუგებელ ქალთა სლემტიტულს დაიბრუნებს. თუმცა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, მეტი არ იყოს ჩემი, თქვენი და ალიშას მტერი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ბიჯარნელი ფოტოკორესპონდენტი

ახალი ხელი ხელბურთში

სულ ორიოდე საათი გაგრძელდა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, რომლის მუშაობაშიც 54 დელეგატმა მიიღო მონაწილეობა.

ყრილობას უძღვებოდა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი მერაბ მეტრეველი.

დღის წესრიგში იყო ყრილობებს შორის ოთხწლეულში გაწეული შრომის ანგარიში და ახალი პრეზიდენტის არჩევნები, რადგან წესდებით ნებადართული საპრეზიდენტო ორი ვადის გასრულების გამო თენგიზ გაზდელიანს უფლებამოსილება მოეხსნა. ბატონი თენგიზი გუშინ შეუძლოდ იყო და დეპარტამენტის საქტო დარბაზში ვერ მოვიდა, ამიტომ საზოგადოების წინაშე ანგარიშით წარსდგა პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ცერცვაძე. აღინიშნა, რომ უამრავი პრობლემის მიუხედავად, რომელთაგან უმთავრესის, უფულობის გამო საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ბოლო ორ შესარჩევ ციკლში მონაწილეობა ვერ მიიღო, სასიკეთო ძვრები მაინც შეინიშნება. ეს უპირველესად ეროვნული პირველობების დონის ამაღლებით და მონაწილეთა რაოდენობის გაზრდით გამოიხატა. ოქტომბერში დაწყებულ რიგით მე-15 ჩემპიონატში ათი კლუბი ჩაება, თანაც პირველობისთვის ასეთი დაძაბული ბრძოლა ათი წელიწადია, არ ყოფილა, საპრიზო სამეულზე ხუთი-ექვსი კლუბი აცხადებს პრეტენზიას.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ხელბურთი პერიფერიაში გამოცოცხლდა და 2004-2005 წლების სეზონში ბათუმის, თელავის, გორის, სამტრედიის გუნდებიც ჩაერთნენ. ასოციაციამ სამომავლოდ უფრო უნდა გააქტიუროს მუშაობა, ხელმძღვანელები ხშირად უნდა ჩადიოდნენ ადგილებზე და ეხმარებოდნენ მწვრთნელებს დარბაზების და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

ცხადია, მისახედია ქალთა ხელბურთიც, რომელიც საღდეისოდ ფაქტობრივად არც არსებობს.

ითქვა ისიც, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტი დაეხმარა ასოციაციას ევროპის ხელბურთის ფედერაციის 15 000-ევროიანი ვალის გადახდაში და ჩვენს ნაკრებებს მომავალი წლიდან ისევ ეჭნებათ საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის უფლება.



ქართულ ხელბურთს ოთხი წლით მამუკა სხიერელი უხელმძღვანელებს

კამათში გამოსულმა მწვრთნელებმა შოთა წიტაიშვილმა (ბათუმი), გია თავხელიძემ (ქუთაისი), ლევან ცაგურიამ (ფოთი) ძირითადად თავიანთ ქალაქებში დარბაზების პრობლემაზე ილაპარაკეს. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა შეძლებისდაგვარად დაჰპირდა ამ საკითხში თანადგომას.

პრეზიდიუმის წევრებმა თამაზ თევზაძემ, გურამ ძაგანიამ, აგრეთვე ზაზა დოლიძემ და ჯემალ ბარამიძემ მსაჯობასა და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის მთელი დატვირთით გამოყენების აუცილებლობაზე გაამახვილეს ყურადღება.

ხარვეზების მიუხედავად, ასოციაციის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

შემდეგ ახალი პრეზიდენტის არჩევის დრო დადგა. თავიდან ოთხი კანდიდატი იყო — საქართველოში ხელბურთის ერთ-ერთი პიონერი ჯანო ბაგრატიონი, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა სხიერელი, ეროვნული ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ კაკაბაძე და 1990-იანი წლების საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ბიძინა მინდელი.

ბატონმა ჯანომ წინა დღეს მოხსნა თავისი კანდიდატურა, ასევე მოიქცნენ კაკაბაძეც და მინდელიც. ასე რომ, საპრეზიდენტო სავარძელს ერთადერთი პრეტენდენტი შემორჩა, 58 წლის სხიერელის სახით. ცხადია, ყველაფერი გარკვეული იყო და ფარული კენჭისყრა საჭირო არ გამხდარა. ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი სხიერელს, რომელიც 1965-74 წლებში იცავდა თბილისის „ბურევესტნიკის“ ღირსებას.

ბატონმა მამუკამ დამსწრეთ მადლობა გადაუხადა ნდობისთვის და იქვე თავისი გუნდის, ანუ ასოციაციის ათკაცა პრეზიდიუმის შემადგენლობაც დაასახელა: ვიცე-პრეზიდენტები — ჯემალ ცერცვაძე, თამაზ თევზაძე, მერაბ მეტრეველი; გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე; წევრები — იმედო ფხაკაძე, გურამ ძაგანია, ჯემალ ბარამიძე, ლევან აბესაძე, მერაბ როგავა და ელიზბარ არსენაშვილი.

— პრობლემები მართლაც ბევრია, მაგრამ იმედია, ნელ-ნელა დავძლევთ — გვითხრა ახალმა პრეზიდენტმა — უპირველესად ბავშვთა ხელბურთის განვითარებას უნდა მივხედოთ. გლდანის სკოლის უნიკალური კომპლექსი მაქსიმალური დატვირთვით უნდა მუშაობდეს. იმავდროულად ცენტრშიც უნდა გამოინახოს დარბაზი, რადგან ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში ბავშვები სიარულს ვერ შეძლებენ. ხშირად უნდა იმართებოდეს სხვადასხვა ასაკში შეჯიბრებები. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ გაიზარდონ ახალი ცერცვაძეები, ანთაძეები, ბაგრატიონები, ფხაკაძეები... სპორტის აკადემია უნდა დაგვეხმაროს მსაჯთა ახალი კადრების მომზადებაში, მსაჯობის მსურველი ახალგაზრდების მომზადებაზე უნდა ავიღოთ გეზი, რომ არ გვიხდებოდეს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან არბიტრების ჩამოყვანა ჩვენი ჩემპიონატის მატჩების სამსაჯოდ. უნდა დავიხმაროთ შეძლებული ახლობელ-ნაცნობები, რათა ეროვნულმა ნაკრებმა ოფიციალური თამაშები თბილისშიც ჩაატაროს. ამას მარტო დეპარტამენტის დაფინანსება ვერ გასწვდება. მაყურებლები ბლომად გვეყოლება, ბავშვებიც ნახავენ უმაღლესი დონის შეხვედრებს და, რაც მთავარია, გუნდს ჯგუფიდან პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი გაუჩნდება. მით უმეტეს, რომ ევროპულ კლუბებში ბევრი ჩვენი ლეგიონერი თამაშობს და მათთვის სათანადო პირობების შექმნით კონკურენტუნარიანი ნაკრები გვეყოლება და მიზანსაც მივაღწევთ.

ზია ახალაძე

შვიდკაცა ასევ ცხრა მთას ვერ გადაივლის

სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს ზაზა ლეჟავა აღარ უხელმძღვანელებს. საფრანგეთში მოღვაწე ყოფილი ბორჯღალოსანი ახლა „ორლეანის“ მეორე გუნდის მწვრთნელია და ჩვენი შვიდკაცას ხელმძღვანელობიდან წასვლის მიზეზის შესატყობად მას საფრანგეთში დავუკავშირდით.

— ზაზა, რა მოხდა, რატომ გადადექი თანამდებობიდან?

— იმიტომ, რომ რაგბის კავშირს შევთავაზე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პროგრამა და არ მიიღეს. ხუთთვიანი გეგმის პაკეტში სხვადასხვა წინადადებები მქონდა. მათ შორის განვსაზღვრე როგორც ჩემი, ისე მეორე მწვრთნელის ანაზღაურება და მოთამაშეთა ხელფასები, მედიკამენტების საკითხი და ორი შეკრების თანხა.

— დაახლოებით რა ჯდებოდა ეს შეკრებები?

— 25 ათასი ევრო. მოთამაშეების ხელფასებს რაც შეეხება, ამ გეგმის მიხედვით 4-5 მორაგბეს 400 ევრო ენიშნებოდათ კვირის მიხედვით, ანუ რამდენი კვირითაც დასაქმდებოდნენ, იმდენს გადავუხდიდით. რამდენიმე მოთამაშე 250-300 ევროს მიიღებდა, ხოლო ახალბედები — 200-100 ევროს.

— თქვენ რამდენი გეჭნებოდათ ხელფასი?

— 100 ევრო.

— საბოლოოდ მაინც რატომ არ მოიწონეს თქვენი წინადადება?



ზაზა ლეჟავა

— ამდენი ფული არ გვაქვსო. არადა, თუ სერიოზული შედეგის მიღწევა გვინდა, ჩემი პროგრამა მისაღებია. მათ პირობებზე კი მე არ ვარ თანახმა. მე გუნდის შედეგზე ვფიქრობდი, მინდოდა, შვიდკაცას ძლიერი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მინიმუმ მეათე, მაქსიმუმ კი მერვე ადგილზე გამეყვანა.

ნინო ლეჟავა

პოპაიმ რუსული ფენიქსი დაფერფლა

პროფესიული სუმო გუშინდლამდე სპორტის ის იშვიათი სახეობა იყო, საქართველო და რუსეთი არც ერთხელ რომ არ დაპირისპირებოდა ერთმანეთს. საინტერესო ტრადიციას საფუძველი ტოკიოს „კოკუგიკანის“ სასახლეში ჩაეყარა. სეზონის პირველ ბაშოზე წარუმატებლად მოჭიდავე ჩვენებურ კოკაისა და მასზე ცოტა მაღალმაჩვენებლიანი რუსთა იმედის როზოს შეხლა სულ რაღაც ერთ წამში ჩამთავრდა.

„რუსულმა ფენიქსმა“ „შავ ზღვას“ ჯიქურ შეუტია, მაგრამ კეფაში ისეთი სილაქი მიიღო, იაპონურად სოკუბიოტოსი რომ ჰქვია. ამ გამარჯვებით ქართველმა სუმიტორიმ უარყოფითი ბალანსი ორ ქულამდე შეამცირა და სატურნირო მდგომარეობის სასიკეთოდ შეტრიალების შანსი გაიუმჯობესა.

მეათე მეტოქე დასცა მონღოლმა იოკოძუნამ ასოსიორუმ. „ცისფერ დრაკონის“ გაჩემპიონებაში უკვე ეჭვიც აღარავის ეპარება, მეორე ადგილზე კი კიდევ ერთი მონღოლი, ცხრამეტი წლის კოძუსუბი ხაკუხოა. იგი გამოცდილ თანამემამულეს ორი ქულით ჩამორჩება.

კოკუგიკანური ბაშოს დასრულებამდე ხუთი ტური რჩება.



NBA რეგულარული ჩემპიონატი

17 იანვარი

შარლოტი 92:99 მილუოკი

შარლოტი: ოკაფორი (15), კაპონო (15)
მილუოკი: უილიამსი (4), რედი (27), მეისონი (16), სმიტი (12), გაძურიჩი (13 ქულა, 10 მოხსნა); ჯეიმსი (11), შარულია (21 წუთი, 8 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ვან ჰორნი (7), სტრიკლენდი (1), კუკოჩი

გოლდენ სტეიტი 107:97 დენვერი

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (42), მერფი (22)
დენვერი: მილერი (14 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ბაკნერი (2), ენტონი (24), ვაიტი (6), მარტინი (11 ქულა, 13 მოხსნა); ჯონსონი (22), ბოიკინსი (16), რასელი (2), *ცაბიტაშვილი* (10 წუთი, 1 ჩაჭრა)

ნიუ იორკი 86:88 ჩიკაგო

ნიუ იორკი: მარბერი (25), ჯ. ტომასი (16)
ჩიკაგო: დენგი (19 ქულა, 10 მოხსნა)

დეტროიტი 94:80 ფინიქსი

დეტროიტი: პრინსი (26)
ფინიქსი: ჯონსონი (17), სტუდემაიერი (16)

კლიპერსი 83:89 საკრამენტო

კლიპერსი: ბრენდი (24 ქულა, 10 მოხსნა), კამანი (18 ქულა, 15 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (23 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), მობლი (19), ბიბი (18), სტოიაკოვიჩი (17)

სან ანტონიო 101:73 ვაშინგტონი

სან ანტონიო: ბრაუნი (24), პარკერი (23 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ბერი (17)
ვაშინგტონი: ჰეიესი (27)

მინესოტა 91:100 ტორონტო

მინესოტა: შერბიაკი (25)
ტორონტო: მარშალი (22), ბოში (19 ქულა, 11 მოხსნა), ალტონი (18 ქულა, 15 პასი)

ლეიკერსი 94:102 იუტა

ლეიკერსი: ბატლერი (26), ეტკინსი (18)
იუტა: ჰარპრინგი (19), ბუზერი (18)

მემფისი 99:80 ჰიუსტონი

მემფისი: სვიფტი (18), უილიამსი (16)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28)

ატლანტა 84:85 ნიუ ჯერსი

ატლანტა: ჰარინგტონი (22)
ნიუ ჯერსი: კიდი (23), კარტერი (23)

ფილადელფია 95:91 ნიუ ორლეანი

ფილადელფია: აივერსონი (29)
ნიუ ორლეანი: ნეილონი (23), დიკაუ (16)



ზაზა ფაჩულია შარლოტელ ემეკა ოკაფორს გაურბის

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ფილადელფია	17	20	45,9
ბოსტონი	17	20	45,9
ნიუ იორკი	17	20	45,9
ტორონტო	16	23	41,0
ნიუ ჯერსი	13	24	35,1
ცენტრალური			
დეტროიტი	23	14	62,2
კლივლენდი	22	14	61,1
ინდიანა	18	16	52,9
ჩიკაგო	17	18	48,6
მილუოკი	13	23	36,1
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
მაიამი	28	11	71,8
ვაშინგტონი	22	14	61,1
ორლანდო	19	16	54,3
შარლოტი	8	26	23,5
ატლანტა	7	28	20,0

დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	31	9	77,5
დალასი	23	12	65,7
მემფისი	21	18	53,8
ჰიუსტონი	20	18	52,6
ნიუ ორლეანი	5	32	13,5
ჩრდილო-დასავლეთი			
სიეტლი	27	9	75,0
მინესოტა	19	18	51,4
პორტლენდი	15	21	41,7
დენვერი	15	22	40,5
იუტა	14	26	35,0
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	31	8	79,5
საკრამენტო	25	11	69,4
ლეიკერსი	20	16	55,6
კლიპერსი	18	19	48,6
გოლდენ სტეიტი	12	27	30,8

იმედის ნაპერწკალი ყინულზე
დღეს დღესასწაულს ელიან

ლოკაუტს შეგუებული ჰოკეის ნაციონალური ლიგის ქომაგებს იმედის იოტისოდენა ნაპერწკალი გაუჩნდათ. იმედს კი, ხომ იცით, რა ძალა აქვს!..

სრულიად მოულოდნელად ლიგისა და პროფკავშირების ლიდერები შეხვედრაზე შეთანხმდენ. თარიღიც ცნობილია, დღევანდელი დღე (შეგახსენებთ, რომ წინა მოლაპარაკება 14 დეკემბერს შედგა). ლიგის დელეგაციას მოლაპარაკებაზე ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბილ დეილი წარუძღვება, ხოლო მის ოპონენტ მხარეს — ნჰლპა-ს — აღმასრულებელი დირექტორი ტედ სასკინი.

რა გამოვა აქედან, არავინ იცის, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებას არ ესწრებიან ლიგის და პროფკავშირის პირველი პირები, შესაბამისად გერი ბეტმენი და ბობ გუდენაუ, რაც თავისთავად ბევრისმთქმელია. გარდა ამისა, არც ერთ და არც მეორე მხარეს არაფერი ახალი არ წარუდგენია. პირველ ყოვლისა, ახალ იდეებს ლიგისგან ელოდნენ, მაგრამ ბეტმენს ამ თემაზე არაფერი უთქვამს. ცხადია, ლიგის ცბიერი კომისიონერი მაქსიმალურად ცდილობს, ოპონენტებს ნერვები აუშალოს და არ ჩქარობს, რაიმე განცხადების გაკეთებას. საერთოდაც წარმოუდგენელია, რომ ლიგის ბოსებს რაიმე ჩაფიქრებული ჰქონოდათ და ამაზე ჟურნალიტსებს არაფერი გაეგოთ.

საინტერესოა, რომ ბეტმენმა თავისი დუმილით მაინც აანერვიულა გუდენაუ. პროფკავშირის ბოსმა ამ დღეებში კანადურ გაზეთ „ტორონტო სანის“ მეშვეობით აუწყა მოთამაშეებს, რომ წლეულს მათ არაფრის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ. მეტიც, გუდენაუმ ისიც დაამატა, რომ ჰოკეისტებს შეუძლიათ, მომავალ სეზონზეც გააფორმონ კონტრაქტები ევროპაში, ვინაიდან არანაირი საშველი არ სჩანს. ერთი სიტყვით, გუდენაუსა და მისი კოლეგებისთვის თითქოს ყველაფერი უკვე ცხადია, მით უმეტეს, რომ დროც პრაქტიკულად აღარ დარჩა. რომც წარმოვიდგინოთ, რომ დღეს რაიმე სასიკეთო ძვრები მოხდება, მინიმუმ 7-10 დღე ყველა დეტალის დაზუსტებას დასჭირდება. შემდეგ ჰოკეისტები უნდა ჩამოვიდნენ ევროპიდან, გუნდების მოსამზადებელი დროც უნდა ვივარაუდოთ. ერთი სიტყვით, პერსპექტივა ძალიან ბუნდოვანია.

და მაინც, მოდით, წინასწარ ნუ დავდგებით პესიმისტურ განწყობაზე. ბოლოს და ბოლოს წინა ლოკაუტის დროს, 1995 წელს, არავის სჯეროდა, რომ კომპრომისი მოიძებნებოდა, მაგრამ მაშინ, 11 იანვარს ყველასთვის მოულოდნელად მიაღწიეს მხარეებმა შეთანხმებას და სარეკორდო ვადაში, 9 დღის შემდეგ სეზონი დაიწყო.

მოდით, კიდევ ცოტა მოვითმინოთ და სასწაულს დაველოდოთ.

სამეელ ღარიბიანი

ფეიგ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

III ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი) —	პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 1:0
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) —	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 0,5:0,5
ნაიჯელ შორტი (ინგლისი) —	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) —	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 0:1
ლაზარო ბრუზონი (კუბა) —	მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) —	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5
ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) —	რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 0:1

იუდით პოლგარი და ვლადიმერ კრამნიკი

ბულგარელმა სტომატოლოგმა მასპინძელი დაპლომბა

სუპერტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად სპეციალისტები უკვე ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს მიიჩნევენ. ეს ლოგიკურიცაა, ტოპალოვი შესანიშნავად თამაშობს, სამ შეხვედრაში ორნახევარი ქულა აქვს მოხვეჭილი და ჯგუფს უნგრელ პეტერ ლეკოსთან ერთად ლიდერობს, თუმც აღსანიშნავია, რომ სპეციალისტებმა იგი ფავორიტად სულ სხვა მხრივ — კარგი ფსიქოლოგიური მომზადების გამო დაასახელეს.

ბულგარელ სტომატოლოგს, როგორც მას პრესაში ხშირად უწოდებენ, წინა ტურში საკმაოდ უხერხული მეტოქე, კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი ვლადიმერ კრამნიკი ჰყავდა. შავი ფიგურებით მოთამაშე ტოპალოვი მასთან შეხვედრისას საერთოდ არ დაბნეულა და მრისხანე მოწინააღმდეგეს მე-20 სვლაზევე დააყრევინა ფარ-ხმალი. მომდევნო დღეს ტოპალოვი ჰოლანდიის ჩემპიონ ლუკ ვან ველს დაუპირისპირდა, 19 სვლა ტოლ-სწორად ეთამაშა და საბოლოოდ ყაიმით დაშორდა, ეს კი ლიდერობის შესანარჩუნებლად სავსებით საკმარისი გამოდგა.

არანაკლებ საინტერესო იყო მეორე ლიდერ ლეკოსა და რუს პეტერ სვიდლერის ჯახიც. სეხნია მეტოქეებმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს. ცენტრში უპირატესობას თანდათან ლეკო დაეუფლა, მან თავიდანვე მხედრები გაუშვა წინ, ამავე დროს ლაზიერის ფლანგის გამაგრებას შეუდგა და მეათე სვლაზე როქიც გააკეთა. ხელმწიფე დაცულად იგულა თუ არა, უნგრელმა მარჯვენა ფლანგი გახსნა, იერიშები წამოიწყო და ბრძოლა მალე მთელ დაფას მოედო. ამ შეტაკებებისას თანდათან სვიდლერმაც გამოილვიძა, რამდენჯერმე დაარტყა შემოჭრილ მოწინააღმდეგეს, მდგომარეობა თავის სასარგებლოდ შემოატრიალა და 23-ე სვლაზე პაიკით გავიდა წინ. დაკარგული ხარისხი უნგრელმა ოთხ სვლაში დაიბრუნა და 33-ეზე კი E ხაზზე ლაზიერ-ეტლის წყვილი გაამაგრა. მადიარის გეგმები სვიდლერმა უცებ გამოიცნო და გაცვლების შეუდგა, რის გამოც დაფა თანდათან დაცარიელდა და მოშიშვლებული ბრძოლის ველზე მეტოქეებმა პაიკების გაყვანა დაიწყეს. აქ კი უკვე გონიერმა უნგრელმა იძალა, B ხაზზე მოძრავი პაიკი წინ გაუშვა და 57-ე სვლაზე მეტოქეს მარცხი აღიარებინა.

უნდა ითქვას, რომ აქ შეკრებილი დიდოსტატები ყველაზე ხშირად სიცილიურ დაცვას ანიჭებენ უპირატესობას და გამონაკლისი არც პოლგარ-კრამნიკის პარტია გამოდგა. მეტოქეებმა 59 სვლა სდიეს ერთმანეთის ფიგურებს, თუმც ვერაფერი დააკლეს და ზავით გაყრა ამჯობინეს. ახლა ორივე სახელოვანი დიდოსტატი ძალთვის შეუფერებელ, ცხრილის ქვედა ადგილებზეა.

ლაზა გეგეჭკორი



57-ე სვლის შემდეგ სვიდლერმა თამაში აღარ ისურვა

1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2,5 ქულა
2	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	2,5
3	რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	2,4
4	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	2,0
5	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	2,0
6	ნაიჯელ შორტი (ინგლისი)	1,5
7	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	1,5

REUTERS პრაღიდან

მთეგი ქალაქში

აბ, რა ხდება შუა პრაღაში, ძველ ქალაქში: საციგურაო მთები გაუმართავთ და მხიარული ყმაწვილკაცთა შეჯიბრიც დაწყებულა. ამგვარ შეჯიბრს ოსტატობასთან ერთად გამბედაობაც სჭირდება.



REUTERS რუფოლდინგიდან

მაინც მეორე

დაჯერებით და ზუსტად კი ისროლა ჩინელმა შიანინგ ლიუმ ბიატლონის მსოფლიო თასზე, მაგრამ 10-კილომეტრიან შეჯიბრში ოქრო მაინც რუს ოლგა პილევას დარჩა. დიდი ბიატლონობა კი ბავარიაში, რუფოლდინგის თოვლებში მიმდინარეობს.



REUTERS სტოკჰოლმიდან

ჰეპტადედოფალი

შვედებმა წლის სპორტსმენ ქალად კაროლინა კლუფტი აღიარეს და შესაბამისა ჯილდოც გადასცეს სტოკჰოლმის „გლობ არენაზე“. კაროლინა ჰეპტატლონის ანუ ათჭიდის დედოფალია და წლეულს ათენში ოქროც მოიპოვა.

კენიას სუნს

კვლავ აფრიკაშია ოლიმპიზმის თავკაცი ჟაკ როგი. კენიის დედაქალაქ ნაირობიდან 350 კილომეტრში, კიპ კეინოს სავარჯიშო ცენტრში მას იქაური შუბოსნები დაუხვდნენ. ამბის არსი კი ის არის, რომ კენიას 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს და როგი ხუთდღიანი ვიზიტის მანძილზე იკვლევს ვითარებას.

REUTERS ელდორეტიდან

ლია გახსნაზე

ორშაბათს დაიწყო დიდი სლემის პირველი დიადი შეჯიბრი ჩოგბურთში — ტრადიციულად, ავსტრალიის ღია პირველობა. გახსნაზე, როდ ლეივერის სახელობის კორტზე რომ ჩატარდა, ამ ორმა მშვენიერმა შვედმა გოგომაც იცეკვა: ლინდა ოლსონმა და მია ნორდსტრომმა. ავსტრალიელი ლუკ დინი კი ცდილობდა, გოგონების შორის ჩაკვეტებულიყო.

REUTERS ბელგრადიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ალეანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნინობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერაია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაა ახალაძე, ლევან კვლიურაძე, ოთარ მაღლა, ელიზა ირაკლი პერტია.
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge